კვირეული „ვერსია“

ვერსია

№5 (1695) 13 — 19 მარტი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის ახალი მინისტრი

მიხეილ სარჯველაძის ქონებრივი დეკლარაცია

ვინ აფინანსებს გვარამია-მელიას პარტიას და მიდის თუ არა კვალი ზურაბ ადეიშვილამდე

ფაქტები ორი „ანზოროვიჩის“ წარსულიდან

რა დარღვევები გამოვლინდა ზოგადი განათლების მართვის მოდელში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

„დაფასოებული“ სიკვდილი

როგორ ვიხსნათ ახალგაზრდობა „კაიფში გაპარვისაგან“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის რვა პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით რვა პირი დააკავეს.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვისა და მათი უკანონო რეალიზაციის მომზადების, „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1975 წელს დაბადებული გ.ბ., 1995 წელს დაბადებული ქ.ჩ., 2001 წელს დაბადებული ჯ.კ., 2002 წელს დაბადებული ო.ს., 1999 წელს დაბადებული დ.გ., 1985 წელს დაბადებული, ბელარუსის მოქალაქე მ.მ., წარსულში ნასამართლევები: 1981 წელს დაბადებული ნ.ზ. და 2001 წელს დაბადებული გ.გ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომობილების, საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ასევე, დაკავებულების მიერ მითითებული ლოკაციებიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ო.ს. - ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნარკოტიკული საშუალებები - „კოკაინი“, „მდმა“, „მარიხუანა“, „ექსტაზი“ „ლსდ“, „პსილოციბინი“ და ფსიქოტროპული ნივთიერება „კეტამინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, გ.გ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე, მის მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს 12 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. გამოძიებით, დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას სოციალური აპლიკაციის - „ტელეგრამის“ გამოყენებით ახდენდა. ამავე სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული ჯ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად კი ნივთმტკიცებად ამოღებულია 34 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“, რომლის განთავსებასაც ბრალდებული სხვადასხვა ლოკაციაზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით გეგმავდა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველო თანამშრომლებმა თბილისში, გ.ბ.-სა და ქ.ჩ.-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად და მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები - „ალფა პვპ“ და „მეფედრონი“, ასევე, ფსიქოტროპული საშუალება „კეტამინის“ შემცველი ნივთიერება. სარეალიზაციოდ დაფასოებული ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო პოლიციამ გ.ბ.-ს ავტომობილის ჩხრეკის შედეგადაც. ამასთან, ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო მასალები და ელექტროსასწორები.

გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დ.გ.-ც. სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ დაფასოებული 26 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“. გარდა ამისა, პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, დაკავებულის მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოიღო სარეალიზაციოდ განთავსებული კიდევ 9 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება. ამავე სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული ნ.ზ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად კი, ნივთმტკიცებად ამოღებულია რვა შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მ.მ. - ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ასევე, მის მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“. მ.მ.-ს საცხოვრებელი ბინიდან, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო მასალები და ელექტროსასწორები.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260, 18-260-ე, 261-ე,18-261-ე მუხლებით, ასევე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები ბაკურიანში სამთო მომზადების შუალედურ კურსს გადიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სამთო მომზადების ზამთრის შუალედურ სასწავლო კურსს გადიან. სწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, ბაკურიანში ტარდება და მას პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორები უძღვებიან.

სწავლების განმავლობაში, დეპარტამენტის თანამშრომლები შეისწავლიან მაღალ მთაში სროლას, ადგილმდებარეობის მიხედვით ორიენტირებას, დაშავებულისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას, საევაკუაციო საშუალებების გამოყენებას, ზვავში მოყოლილი ადამიანის ძიების მეთოდებს, თოვლში თავშესაფრის მოწყობას, განსაკუთრებულად ცივ პირობებში მოქმედებასა და გაუკვალავ თოვლში ტექნიკურ სრიალს.

სასწავლო კურსის მიზანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამთო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლებაა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და ყვავილების თაიგულები გადასცეს.

სამართალდამცველებმა მათ უსაფრთხო გადაადგილება და წარმატება უსურვეს.

ვინ აფინანსებს გვარამია-მელიას პარტიას და მიდის თუ არა კვალი ზურაბ ადეიშვილამდე

ნინო დოლიძე

ქართული ოპოზიციური ველი თითქოს გამოცოცხლდა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ორმა ნიკამ ანუ „მთავარის“ დამფუძნებელმა ნიკა გვარამიამ და ენმ-ს ყოფილმა თავმჯდომარე ნიკა, იგივე, ნიკანორ მელიამ ახალი პარტია – ახალი დააფუძნეს, პოლიტიკურ კულუარებში მითქმა-მოთქმა დაიწყო. ჯერ ერთი, ამბობენ იმას, რომ ორი ნიკა ხმებს, ესე იგი, ამომრჩევლებს, ყოფილ მმართველ პარტიას წაართმევს. მეორეც, ენმ-ში დარჩენილებს ახალის პოლიტბაზარზე გამოჩენა მაინცდამაინც არ მოეწონათ და იგივე სოცქსელში მოქმედი „ნაცები“ ქირქილებენ, გედი ფოფხაძე რომ ახალი იქნება და მიხეილ სააკაშვილი ძველი, რაზეა ლაპარაკიო. ცნობისთვის გეტყვით, რომ პარტიის ოფიციალურ წარდგენამდე, ნიკა გვარამია სოცქსელში პერიოდულად აქვეყნებდა იმ ადამიანებთან ერთად გადაღებულ ფოტოებს, რომლებიც მისი გუნდის წევრები იქნებოდნენ. რამდენიმე დღის წინ, გვარამიამ კიდევ ერთი ფოტო „დადო“ „ფეისბუქში“, წარწერით – „ახალი“. ჰოდა, ამ ფოტოზე, სხვებთან ერთად, თავს გედევან ფოფხაძეც იწონებდა. მოკლედ, დრო აჩვენებს, რამდენად ახალია ორი ნიკას ახალი, მანამდე კი მოდით, თვალი გვარამია-მელიას წარსულს გადავავლოთ და ისიც ვიკითხოთ, რა კავშირი აქვს ყოფილ მთავარ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს ორ ნიკასთან.

* * *

ფაქტები ორი „ანზოროვიჩის“ წარსულიდან

ნიკა გვარამიას, ქართული „ვიკიპედიის“ მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულეტი აქვს დამთავრებული (1998 წელი). 2000 წელს, მუშაობას საადვოკატო კომპანია, შპს „სანდოში“ იწყებს, სადაც 2003 წლამდე საქმიანობს. ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა მომავალი რევოლუციონერები ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, მოქკავშირის რეფორმატორული ფრთა აქტიურდება. უცნობია, გვარამიამ, იგივე, მიხეილ სააკაშვილი სად და რა ვითარებაში გაიცნო, მაგრამ ცნობილია, რომ მას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან კარგი ურთერთობა ჰქონდა კახა კუკავასთან. მოგეხსენებათ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, კუკავა ზვიად ძიძიგურის პარტიაში იყო. ისიც ცნობილია, რომ ზვიად ძიძიგური, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერი, შევარდნაძის ხელისუფლებამ მძიმე ბრალდებით დაიჭირა და სიკვდილით დასჯა რომ არ გაუქმებულიყო, უმაღლეს სასჯელსაც ვერ გადაურჩებოდა.

ასევე, ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი და მეგობარი იყო ნიკა გვარამიას მამა, ანაზორ გვარამია.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძეს გაემიჯნა, მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი დასაყრდენი, სწორედ ზვიადისტური მოძრაობის გარკვეული ფრთა გახდა. შესაბამისად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ნიკა გვარამია სააკაშვილთან ძიძიგურის ხელშეწყობით მოხვდა... ამასთან, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ გვარამიასა და სააკაშვილის დაახლოებას ხელი ირაკლი ოქრუაშვილმა შეუწყო. ამის თქმის საფუძველს კი შემდეგი გარემოება იძლევა: „ვარდების რევოლუციამდე“, ოქრუაშვილს, როგორც ადვოკატს, „AES თელასთან“ ჰქონდა ურთიერთობა. 2003 წელს, გვარამიაც „თელასში“ მუშაობდა. იმდროინდელი მითოსით, „თელასი“ „ვარდოსნების“ ერთგვარი ბასტიონი იყო. ჰოდა, გონივრული ეჭვის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ 2004 წელს, ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში, გვარამია სწორედ ასე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, რევოლუციურ ლექს პარლამენტში ბევრი „შემთხვევითი ადამიანი“ შეჰყვა, თუმცა ნიკა გვარამია იმთავითვე გამორჩეული პერსონა გახდა. ყოველ შემთხვევაში, მან ნაცმოძრაობის მმართველ ელიტაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება მოახერხა, რაც გასაკვირი არცაა, რადგან ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია: ეს ადამიანი ნიჭიერიც არის, განათლებულიც და ორატორობის ხელოვნებასაც ფლობს. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ნიკა გვარამია კლუბის – „რა? სად? როდის?“ წევრი იყო და ამ ინტელექტუალურ თამაშს კარგა ხანს თამაშობდა.

„ჩვენ გვჭირდება განათლებული და ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები!“ – დაახლოებით, ამ შინაარსის ლოზუნგით, მიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გამოვიდა. იმხანად, სრულიად ახალგაზრდა გვარამია ახალი ყაიდის სახელმწიფო მოღვაწის (ქართულ „ვიკიპედიაში“ ნიკა გვარამიას შესახებ ინფორმაცია, სწორედ სახელმწიფო მოღვაწეების განყოფილებაში იძებნება) ამ ორივე კრიტერიუმს აბსოლუტურად აკმაყოფილებდა. შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ საკანონმდებლო ორგანოში ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, გვარამიამ ხელისუფლების სხვა შტოში გადაინაცვლა – კერძოდ, 2007 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, სადაც ლამის ერთი წელი დაჰყო. 2008 წლის 24 იანვარს კი, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე წარადგინეს. შვიდი დღის შემდეგ ანუ 31 იანვარს, ეს თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა. ცხრა თვის შემდეგ, მთავრობაში მორიგი კარუსელი დატრიალდა და 2008 წლის 27 ოქტომბერს, ნიკა გვარამია განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მოგვევლინა. მის ამ გარდასახვას დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა – ოპოზიციამ გააპროტესტა, როგორ შეიძლება, განათლებას სათავეში ის ადამიანი ჩაუდგეს, რომელსაც ძალოვან უწყებაში აქვს ნამუშევარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერების მართვას ძალოვანი მეთოდებით აპირებენო.

განათლების მინისტრად ნიკა გვარამიამ ზუსტად ერთი წელი იმუშავა და 2009 წლის 27 ოქტომბერს, თანამდებობა, როგორც მაშინ ითქვა, საკუთარი ნებით დატოვა. მოგეხსენებათ, ქართულ პოლიტიკაში გონივრული ეჭვი ერთობ ფესვგამდგარია. ჰოდა, გვარამიას ამ გადაწყვეტილებას ზოგმა საფუძვლად ის დაუდო, რომ მას ნაცელიტასთან, კერძოდ, სააკაშვილთან თითქოს ურთიერთობა დაეძაბა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მუშაობდა, რომ პოლიტიკაში, ჯერ კიდევ სტალინიდან მოყოლებული, აპრობირებული მეთოდია: არასასურველ ადამიანებს სასწავლებლად უშვებენ ხოლმე. ჰოდა, განათლების ექსმინისტრი გვარამიაც, განათლების მისაღებად ოკეანის გაღმა გაემგზავრა.

როგორ ცხოვრობდა, ან რა განათლებაი მიიღო აშშ-ში, ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ არსებობს. მეტიც, ლამის ხუთი წლის განმვალობაში, გვარამია მხოლოდ მაშინდელმა ოპოზიციამ კი არა, მმართველმა ელიტამაც დაივიწყა. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, ყოფილი ჩინოვნიკი არენაზე ისევ გამოჩნდა, ოღონდ სხვა ამპლუაში – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად მოგვევლინა და ამ პოსტზე, გოგი გეგეშიძე ჩაანაცვლა.

ძნელი სათქმელია, რა ნიშნით შეარჩიეს ტელევიზიის დამფუძნებელებმა გვარამია დირექტორად, თუმცა თუკი ეჭვიანებს დავუჯერებთ, ამ გადაწყვეტილების მთავარი ქვაკუთხედი ის იყო, რომ გვარამია სააკაშვილის ახლო მეგობარია. ასევე, ცნობილია, რომ ძმები ყარამანაშვილები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტს ფლობდნენ, სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრები იყვნენ.

თანამდებობაზე ყოფნის დროს და შემდეგაც ნიკა გვარამია სკანდალში არაერთხელ გახვეულა. მარტო ის რად ღირს, რომ ის ორჯერ დაიჭირეს – ერთხელ, როცა „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად ახალი დანიშნული იყო და მეორედ, რამდენიმე წლის წინ. პირველი დაჭერის შემდეგ მალევე გამოუშვეს, მეორედ კი ციხეში პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს და იქ საკმაოდ დიდი დრო გაატარა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვინ აფინანსებს გვარამია-მელიას პარტიას და მიდის თუ არა კვალი ზურაბ ადეიშვილამდე

მე-3 გვერდიდან

სხვათა შორის, ციხე ნიკანორ მელიასაც აქვს გამოვლილი და ორივე ნიკა, როგორც ოპოზიცია ამბობს, პოლიტპატიმარი იყო. სხვათა შორის, ციხის გარდა, ამ ორ ნიკას სხვა რამეც აქვს საერთო ანუ ჭრიჭინასი არ იყოს – ორი მარინე და ორივე გიორგის ასული, ორივე ნიკა ანზორის ძეა. ეს, შეიძლება, უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ხომ იცით, პოლიტიკაში მნიშვნელობა სწორდ დეტალებს ენიჭება.

* * *

ახლა, რაც შეეხება ნიკანორ მელიას მინი-დოსიეს, ოფიციალური მონაცემებით, ნიკა (ნიკანორ) მელია 1979 წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ექიმების – ანზორ მელიასა და ნანა ცანავას ოჯახში დაიბადა. 1996 წელს, მელიამ დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა; 2002 წელს – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი; 2002-2003 წლებში, იგი იყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი; 2006 წელს დაამთავრა ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი; 2007 წელს მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში, მრჩევლად; 2008-2009 წლებში მუშაობდა ეროვნული აღსრულების ბიუროში, უფროსის მოადგილედ; 2009-2010 წლებში იყო ეროვნული აღსრულების ბიუროს უფროსი; 2010 წელს იყო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი; 2010 წელს დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსად; 2010-2012 წლებში კი – ამავე ბიუროს თავმჯდომარედ; 2013-2014 წლებში იყო მთაწმინდის გამგებელი; 2014 წელს იყო თბილისის მერობის კანდიდატი; 2015 წლიდან, ნიკა მელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხდება...

მელია ენმ-ს ვარსკვლავად ძალიან მოკლე ხანში იქცა და შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიის პირველ ათეულში, მეოთხე ნომრად ჩაიწერა და მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდა. 2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ნიკა მელია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დაასახელა, თუმცა არჩევნები ისევ „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო.

2017 წელსვე, რამდენიმეთვიანი შიდა დაპირისპირების შემდეგ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაიყო. პარტია 59-მა წევრმა დატოვა. წასულებმა პოლიტიკური საქმიანობა ევროპულ საქართველოში გააგრძელეს. მელია „ნაციონალებში“ დარჩა და... აქტიურად მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ 2019 წლის 20 ივნისს, ე.წ. გავრილოვის ღამეს – საპროტესტო აქციაზე, რომელიც რუსეთის დუმის დეპუტატის საქართველოს პარლამენტში გამოჩენით დაიწყო და თვეების განმავლობაში გაგრძელდა.

„10 წუთში, პარლამენტში მშვიდობიანად შევალთ“, – ეს ფრაზა მელიას ბევრჯერ გაუხსენეს. ამასთან, პროკურატურამ 20 ივნისს, აქციის მონაწილეებისთვის პარლამენტში შეჭრისკენ მოწოდების ბრალდებით, ნიკა მელიას დაპატიმრება მოითხოვა. ბრალდება ასეთი იყო: „ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით“. შემდეგ იყო 26 ივნისის ცნობილი სხდომა და პარლამენტში მარტო, თანაგუნდელების გარეშე მისული მელია, რომელიც მარტო იჯდა „ქართული ოცნების“ დეპუტატების პირისპირ – ამ დღეს, საქართველოს პარლამენტმა, 91 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა გენერალური პროკურორის მიმართვას, ნიკა მელიას დასაპატიმრებლად სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვაზე თანხმობის მიცემის შესახებ. ნიკა მელიას დეპუტატობის იმუნიტეტი შეუჩერდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი წარდგენილი ბრალდებისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, 30-ათასლარიანი გირაო შეუფარდა.

სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას ნიკა მელიას ელექტრონული მონიტორინგი დაავალა – მას გადაადგილება მხოლოდ ელექტრონული სამაჯურით შეეძლო. მელიას ასევე არ შეეძლო თავისუფლად გადაადგილება პროკურატურისთვის შეტყობინების გარეშე. ეს შეზღუდვა მან არაერთხელ დაარღვია, მათ შორის, ტელეეთერში მისვლით.

სამაჯური ნიკა მელიამ, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამართულ გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციაზე, საქვეყნოდ მოიხსნა და ხალხში მოისროლა.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, ნიკა მელია მაჟორიტარი დეპუტატობისთვის გლდანში იბრძოდა. სწორედ ამ არჩევნების გაყალბებას აპროტესტებდა გაერთიანებული ოპოზიცია. ამ საპროტესტო აქციამ პარლამენტიდან ფეხით მსვლელობით ცესკო-ს შენობასთან გადაინაცვლა.

2020 წლის დეკემბერში, ნიკა მელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე გახდა.

ამ პოსტზე მის ოფიციალურ დამტკიცებამდე, პარტიაში ელექტრონული კენჭისყრა ჩაატარეს. ხმების 64.9% (13 491 ხმა) ნიკა მელიამ მიიღო. თავმჯდომარეობის კიდევ ერთმა კანდიდატმა, ლევან ვარშალომიძემ კი – 35.1% (7 288 ხმა).

2020 წლის თებერვალში, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია გენერალურ პროკურატურაში, გირაოს გადაუხდელობის გამო დაიბარეს – ჯერ გასაფრთხილებლად. 2020 წლის 1 ნოემბერს, როცა პარლამენტთან საპროტესტო აქციაზე, ნიკა მელიამ ელექტრონული მონიტორინგის სამაჯური საჯაროდ მოიხსნა, პროკურატურამ სასამართლოს მიმართა გირაოს 100 000 ლარამდე გაზრდის შუამდგომლობით. სასამართლომ გირაო გაიზარდა 40 000 ლარით და მელიას გადახდის ვადად 50 დღე მისცა.

16 თებერვალს, პარლამენტმა მელიას იმუნიტეტი შეუჩერა და ამით საქალაქო სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, მისთვის წინასწარი პატიმრობა შეეფარდებინა. შსს ნიკა მელიას დაპატიმრებას 18 თებერვალს გეგმავდა, თუმცა გადადო მას შემდეგ, რაც გიორგი გახარიამ, მოულოდნელად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა და მიზეზად დაასახელა მელიას დაპატიმრების გამო აზრთა სხვადასხვაობა მასსა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს შორის. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დამტკიცებიდან მალევე, 23 თებერვალს, დილით კი, საპოლიციო ძალებმა გადაწყვეტილება შეასრულეს და მელია დაიჭირეს.

დასასრული მე-5 გვერდზე

რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის ახალი მინისტრი

მიხეილ სარჯველაძის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

ქვეყანას ჯანდაცვის ახალი მინისტრი ჰყავს. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის წარდგინებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძეა. გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა მთავრობის ადმინისტრაციაშიც. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა ლევან ჟორჟოლიანი, რომელიც დღემდე თბილისის საკრებულოს წევრი და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გახლდათ; ამიერიდან, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსია ნიკოლოზ ტყემალაძე; პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში – გიორგი ქაჯაიაა, ხოლო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი – ზურაბ აბაშიძე.

როგორც ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ჯანდაცვის ახალ მინისტრს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. 2012 წლამდე, ის საკმაოდ წარმატებული ადვოკატი გახლდათ, ხოლო 2012 წლის შემდეგ, მიხელ სარჯველაძეს ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში. ის იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი, მოგვიანებით კი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

2012 წლიდან, მიხეილ სარჯველაძე საპარლამენტო გუნდის წევრია, საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეა.

„მინდა, წარმატებები ვუსურვო ბატონ მიხეილ სარჯველაძეს, რომელიც დღეიდან გაუძღვება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. შეგახსენებთ, ეს არის ჯანდაცვა და გარდა ჯანდაცვისა, ეს არის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, დევნილების ინტერესების დაცვა, დასაქმება და შრომის საკითხები. გამოწვევები არის უამრავი, ყველა მიმართულებით, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სარჯველაძე, მისი პროფესიონალიზმით, გამორჩეული პიროვნული თვისებებით, საუკეთესო მინისტრი იქნება და ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებს მოუტანს ამ დარგს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახლა, მიხეილ სარჯველაძის ქონებრივ დეკლარაციასაც გადავხედოთ და ვნახოთ, რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის ახალი მინისტრი. 2012 წლიდან დღემდე, სხვადასხვა პოზიციაზე ყოფნისას, მიხეილ სარჯველაძემ ქონებრივი დეკლარაცია თორმეტჯერ შეავსო. თუმცა, გთავაზობთ მის უკანასკნელ დეკლარაციას, რომელიც 2024 წლის 28 თებერვალს ჩააბარა.

დეკლარაციის თანახმად, ირკვევა, რომ მიხეილ სარჯველაძის მეუღლემ, ელენე შენგელაიამ 2022 წელს, 39 490 ლარად შეიძინა 1 045 და 750 კვადრატული მეტრი ფართობის ნაკვეთები საგურამოში. გარდა ამისა, სარჯველაძის მეუღლის საკუთრებაშია 57 კვადრატული მეტრის ფართობის ბინა თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, მიხეილ სარჯველაძის მიერ მითითებულ ანგარიშებზე 136 258 ლარი ირიცხება, ხოლო მისი მეუღლის ანგარიშებზე – 59 319 ლარი. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ნაღდი ფულის სახით, სარჯველაძე 13 500 ლარს ინახავს სახლში.

რაც შეეხება შემოსავლებს, 2023 წელს, მიხეილ სარჯველაძემ პარლამენტიდან 53 449 ლარის სახელფასო შემოსავალი მიიღო. მისი მეუღლე, ელენე შენგელაია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე პეტრე შოთაძის სამედიცინო აკადემიისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგია. საგანმანათლებლო საქმიანობით, მისი შემოსავალი 30 781 ლარი იყო. გარდა ამისა, მიხეილ სარჯველაძის მეუღლე საქმიანობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრშიც, სადაც ხელფასის სახით, 1 780 ლარი ერიცხება.

სხვა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, მიხეილ სარჯველაძე უთითებს შემოსავალს ანაბრებიდან – 13 774 ლარის ოდენობით, ასევე შვილის სწავლის საფასურს – 5 862 ლარს.

ვინ აფინანსებს გვარამია-მელიას პარტიას და მიდის თუ არა კვალი ზურაბ ადეიშვილამდე

მე-4 გვერდიდან

* * *

იმის შესახებ, თუ რატომ დატოვა მელიამ ენმ-ს თავმჯდომარეობა და თავად პარტია, ბევრი თქმულა. ისიც ცნობილია, რომ მელია ყოფილ მმართველ პარტიაში თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის გავლენებს აპროტესტებდა. ახალის პრეზენტაციის შემდეგ, ორივე ნიკამ თქვა, რომ კეზერაშვილთან შეხება არ აქვთ. სამაგიეროდ, იგივე სოცქსელში გავრცელდა ცნობა, რომ „ანზოროვიჩების“ ახალ პარტიას უკრაინიდან ზურაბ ადეიშვილი აფინანსებს.

„2 ნიკას“ პარტიას მხარდაჭერა და დაფინანსება აქვს უკრაინიდან, კერძოდ ადეიშვილისგან. შესაბამისად, ეს არის ადეიშვილის პარტია და არა მელიასი, თუ გვარამიასი! ვიმეორებ, ადეიშვილის პარტია!“ – დაწერა სოციალურ ქსელში სამოქალაქო აქტივისტმა, ლადო სადღობელაშვილმა.

დანამდვილებით, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, სადღობელაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მართალია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალის გამოჩენას ადეიშვილის თემის გააქტიურება დაემთხვა. კერძოდ, ევროკავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკრაინის ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში ზურაბ ადეიშვილიც იმყოფებოდა, რასაც ოფიციალური თბილისისგან დიდი პროტესტი მოჰყვა. გარდა იმისა, რომ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინისგან ადეიშვილის ექსტრადირება მოითხოვა.

„საქართველოს პროკურატურა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას ახორციელებს საქართველოში დანაშაულის ჩამდენი პირების ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად, მიუხედავად მათი ადგილსამყოფლისა.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, პროკურატურამ მიმართა გერმანიისა და ბელგიის კომპეტენტურ უწყებებს ზურაბ ადეიშვილის დაკავებისა და საქართველოში ექსტრადირების მიზნით“, – ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

როგორ განვითარდება ადეიშვილის გარშემო მოვლენები, ამას დრო აჩვენებს. ისე კი, ნიკა გვარამია, თავის დროზე, ზურაბ ადეიშვილის მოადგილე იყო.... ალბათ, ის დროც მოვა, როცა ახალის დამფინანსებლის შესახებ ოფიციალურად გახდება ცნობილი...

რა დარღვევები გამოვლინდა ზოგადი განათლების მართვის მოდელში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტორები ზოგადი განათლების მართვის მოდელით დაინტერესდნენ. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021-2024 წლებს ასახავს. ვიდრე აუდიტის ანგარიშს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარისხიანი განათლების მიღება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობას. 2021-2024 წლების სამთავრობო გეგმის მიხედვით, მთავრობის პრიორიტეტი ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, რომლის მისაღწევადაც გაიზრდება საბიუჯეტო დაფინანსება, დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, შემუშავდება და დაინერგება სკოლების მართვისა და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად ჩაატარა, რამდენად უზრუნველჰყოფს ზოგადი განათლების მართვის არსებული მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიან მმართველობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ხარვეზები არსებობს, თუმცა სახელმწიფო აუდიტორებმა მათ გამოსასწორებლად, რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

ხარვეზები სკოლების მართვის მოდელში

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლის ავტონომიურობის ძირითადი ასპექტები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სამი კატეგორიის მიხედვით: ორგანიზაციული, მენეჯერული და ადმინისტრაციული ავტონომიურობა – პერსონალის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, თანამშრომლების დაქირავება-დათხოვნა, მასწავლებელთა შეფასების პოლიტიკის განსაზღვრა, სკოლის დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება; აკადემიური ავტონომიურობა – მიზნების განსაზღვრა, სწავლების მეთოდების და მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკის განსაზღვრა, კურსის შინაარსის განსაზღვრა; ფინანსური ავტონომიურობა – სკოლის თავისუფლება ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაში.

„საქართველოში, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სარგებლობენ ავტონომიურობის გარკვეული ხარისხით. კერძოდ, კანონმდებლობის მიხედვით გაწერილია, რომ სკოლის დონეზე ხდება გადაწყვეტილებების მიღება გამოყოფილი ბიუჯეტის განაწილებასთან დაკავშირებით, დირექტორის დანიშვნა და მასწავლებლის დაქირავება. რაც შეეხება აკადემიურ ავტონომიურობას, სწავლისთვის გამოყენებულ სახელმძღვანელოებს ირჩევს სკოლა – სამინისტროს მიერ გრიფირებამინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხიდან, ხოლო მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა, სკოლებში სასწავლო საგნები და შინაარსი განისაზღვრება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ავტონომიურობის ხარისხი ყველა საჯარო სკოლაზე ერთნაირად ვრცელდება, თუმცა სკოლები, მასწავლებლების კომპეტენციის, განვითარების სტადიისა და სხვა მახასიათებლებით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც სკოლების მიმართ დივერსიფიცირებული მიდგომის – გარკვეულ სკოლებზე ავტონომიურობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

„აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული ორი, ყველაზე მაღალი სტატუსის მქონე წამყვანი და მენტორი მასწავლებლების განაწილება სკოლების მიხედვით. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, გამოკითხული დირექტორიდან 42-მა აღნიშნა, რომ ისურვებდა ავტონომიის გაზრდას სკოლის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე“.

ზოგადი განათლების ეფექტიანი მართვის სისტემის განვითარება სამინისტროს სტრატეგიული ამოცანაა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც სკოლის მართვის დიფერენცირებული მიდგომის განხორციელება წარმოადგენს. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ მიზნის გათვალისწინებით, სკოლების არსებული მდგომარეობის ანალიზი არ ჩატარებულა, რომელიც რელევანტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, უზრუნველჰყოფდა საჭირო რესურსების, მზაობისა და შესაძლებლობის მქონე სკოლების იდენტიფიცირებას და ხელს შეუწყობდა განხილულიყო ავტონომიურობის გაზრდის შესაძლებლობა.

რესურსცენტრები – სკოლების მონიტორინგის პროცესში

ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – საგანმანათლებლო რესურსცენტრები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. რესურსცენტრი უზრუნველჰყოფს საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგს, შეფასებასა და შესაბამისი ანგარიშების შედგენას; ასევე, შედგენილი ანგარიშების საფუძველზე, სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი საჯარო სკოლისა და სამინისტროსათვის წარდგენას. აღნიშნული საქმიანობა რესურსცენტრების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

„რესურსცენტრების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას განეკუთვნება სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში სასწავლო პროცესის და გარემოს მონი-

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

ტორინგის განხორციელება, თუმცა მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა და სკოლების დაფარვის სიხშირე არ არის განსაზღვრული. ეს კი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესების საფუძველია.

რესურსცენტრების მიერ, სამინისტროსთან წარდგენილი სამოქმედო გეგმები, რიგ შემთხვევაში, არაერთგვაროვანია, ხოლო მისაღწევი შედეგები არ არის მკაფიოდ გაზომვადი. გარდა ამისა, არ არის დამტკიცებული რესურსცენტრების სამოქმედო გეგმის ერთგვაროვანი ფორმა. რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა რესურსცენტრში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა იდენტურია, მიუხედავად მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სკოლებისა და ამ სკოლებში მოსწავლეების განსხვავებული რაოდენობისა, რაც ქმნის ფუნქციების არასათანადოდ განხორციელების რისკებს“.

ამ ანალიზის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ იდენტური თანამშრომლების რაოდენობის პირობებში გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ერთი რესურსცენტრის დაფარვის არეალში მყოფი სკოლების რაოდენობა შვიდჯერ აღემატება მეორე რესურსცენტრის დაფარვის არეალში მყოფი სკოლების რაოდენობას!

სამეურვეო საბჭო – სკოლის მართვის პროცესში

სამეურვეო საბჭო სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოა. სამეურვეო საბჭოში შედიან, როგორც პედაგოგები და მშობლები, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

„სკოლის მართვის პროცესში სამეურვეო საბჭოს როლისა და საქმიანობის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა 2019-2021 წლებში, სამეურვეო საბჭოს მიერ ჩატარებულ სხდომებზე საბჭოს წევრების ჩართულობა და მიღებული გადაწყვეტილებები. ანალიზიდან ჩანს, რომ ძირითად შემთხვევაში, საბჭოს წევრების ჩართულობა სკოლების მართვის პროცესში ფორმალურ ხასიათს ატარებდა – წევრები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას სკოლის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას და მათ ჩართულობას პროცესში მხოლოდ გაცნობითი ხასიათი ჰქონდა“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა გამოკვეთეს ხარვეზები: სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების შედეგად, მისაღწევი მიზანი არ არის განსაზღვრული, რომელთან მიმართებითაც შეფასდება საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობა; სამეურვეო საბჭოს საქმიანობის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ძირითად შემთხვევაში, საბჭოს წევრების როლი სკოლის მართვის პროცესში ფორმალურ ხასიათს ატარებს: წევრები ნაკლებად არიან ჩართულები სკოლის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას; სამინისტროს მიერ არ არის ჩატარებული საბჭოს საქმიანობის კვლევა და ეფექტიანობის შეფასება. არ არის შესწავლილი საბჭოს წინაშე არსებული გამოწვევები და საჭიროებები, რაც შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელების დაგეგმვას შეუწყობდა ხელს.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, გამოკითხვებისა და სამეურვეო საბჭოს ოქმების ანალიზის მიხედვით, გამოვლინდა საბჭოს მიერ ფუნქციების არასაკმარისად განხორციელების შემთხვევები. ეს, შეიძლება, გამოწვეული იყოს სამეურვეო საბჭოს წევრების კომპეტენციის ნაკლებობით – კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

ხარვეზები სკოლების დაფინანსების მოდელში

სახელმწიფო აუდიტორებმა ხარვეზები ამ ნაწილშიც გამოავლინეს. კერძოდ, ვაუჩერული დაფინანსების მოდელისა და მასში ინტეგრირებული კომპონენტების ფარგლებში მისაღწევი მიზანი არ არის ნათლად გაწერილი, ხოლო დადგენილი საბაზისო თანხისა და დამატებითი კრიტერიუმების ოდენობის განსაზღვრის

რა დარღვევები გამოვლინდა ზოგადი განათლების მართვის მოდელში

შესაბამისი კალკულაციის საფუძვლები არ ემყარება კონკრეტულ ინდიკატორებს. გარდა ამისა, სამინისტროს მიერ არ არის გამოკვლეული, ვაუჩერული დაფინანსების მოდელის არსებული ინდიკატორები რამდენად პასუხობს სკოლებისა და მოსწავლეების საჭიროებებს. ამ პირობებში იზრდება ფინანსური რესურსის არაეფექტიანად განკარგვის რისკები.

„არაქართულენოვანი სექტორის სკოლების წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ, სამინისტროს მხრიდან გათვალისწინებულია გაზრდილი ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად, მნიშვნელოვანია არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და დამატებითი მექანიზმების დანერგვა პროცესის მონიტორინგის მიზნით. კერძო სკოლების დაფინანსება ეფუძნება მხოლოდ ერთ, რაოდენობრივ კრიტერიუმს და არ ითვალისწინებს სკოლების ფინანსურ მდგომარეობასა და საჭიროებებს, რაც ქმნის რესურსის არაეფექტიანად და არაპროდუქტიულად განკარგვის რისკებს. ამასთან, არ არის დანერგილი კერძო სკოლების დაფინანსების ფარგლებში ანგარიშვალდებულების სისტემა“.

რეკომენდაციები

როგორც აღვნიშნეთ, გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს პროცესის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა.

„სამინისტრომ, დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, შესაბამის მხარეებთან კოორდინაციითა და რელევანტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, უნდა უზრუნველყოს სკოლების მზაობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსების და შესაძლებლობების მქონე სკოლებისთვის განიხილოს დივერსიფიცირებული მიდგომის – ავტონომიურობის გაზრდის განხორციელების შესაძლებლობა – ანგარიშვალდებულებისა და დამატებითი მონიტორინგის მექანიზმების გათვალისწინებით“.

გარდა ამისა, რესურსცენტრების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვისა და შესაბამისი რესურსების ოპტიმალურად განაწილების ხელშეწყობის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესისა და გარემოს ეფექტიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდეს და დამტკიცდეს რესურსცენტრების მიერ წარსადგენი სამოქმედო გეგმის ერთიანი ფორმა – კონკრეტული აქტივობების, მოსალოდნელი შედეგების, შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციის მითითებით. მონიტორინგის მოქმედი ფორმების მიხედვით, განისაზღვროს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი მონიტორინგის პროცედურების ოპტიმალური რაოდენობა და სკოლების დაფარვის სიხშირე.

„სკოლის მართვის პროცესში, სამეურვეო საბჭოს როლის გაძლიერების მიზნით, სამინისტრომ შესაბამის მხარეებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით, უნდა უზრუნველჰყოს საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, საჭიროებების კვლევა, მათ წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია, არსებული დაფინანსების მოდელის გადახედვა და შემდეგი კომპონენტების გათვალისწინება: შეფასდეს სკოლების წინაშე (მათ შორის, არაქართულენოვანი სკოლები) არსებული გამოწვევები, მოსწავლეების საჭიროებები და დაფინანსების ფარგლებში მისაღწევი შედეგები; დაფინანსების ყველა ეტაპზე მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი მიზანი; შეფასდეს კერძო სკოლების დაფინანსების მექანიზმის ოპტიმალურობა და არსებული კრიტერიუმების ეფექტიანობა საჭიროებებისა და მისაღწევი მიზნების გათვალისწინებით; საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების ფარგლებში დაინერგოს კერძო სკოლების ანგარიშვალდებულების სისტემა“.

გაიცანით ქართველი ბიჭი, რომელმაც შშმ პირებისთვის ადაპტირებული პროგრამა შექმნა

ანი სარდლიშვილი

„ვცდილობ, არ გავჩერდე, მეტი ვიკვლიო და გავაკეთო, რომ შეიქმნას მეტი პროგრესი შშმ პირთა მიმართულებით“

საზოგადოება, სამწუხაროდ, არ არის მიჩვეული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობას. სოციუმში საკმაოდ ბევრი სტერეოტიპი არსებობს, რომლებიც აუცილებლად დასამსხვრევია. ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა ასოცირდება რამის ვერ გაკეთებასთან, რაც ნამდვილად არასწორი შეხედულებაა. დღეს, გიამბობთ 25 წლის ბიჭის ისტორიას, რომელიც დაბადებიდან უსინათლოა. მას უამრავი სირთულის გადალახვა მოუწია, რომ ამ ეტაპამდე მოსულიყო. ისწავლა, იშრომა, ბევრი ბარიერიც გადალახა, მაგრამ საბოლოოდ, დიდ წარმატებას მიაღწია. ის უკვე შემდგარი პიროვნებაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში, უამრავ საქმეს აკეთებს. „ვერსიამ“ ნიკოლოზთან ძალიან საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, რათა საზოგადოებას გააცნოს როგორია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ყოველდღიური ცხოვრება. შესაძლოა, ის ნათელი მაგალითი გახდეს ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით, შშმ პირებისთვის – არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად რთული გზის გავლა გვიწევს წარმატებისთვის, ყველაფერი შესაძლებელია, თუ ადამიანი მოინდომებს. თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებული ისტორია გვაქვს, ნიკოლოზ წიკლაურის ამბავი საინტერესო და გამორჩეულია.

– ნიკოლოზ, მინდა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ უკეთესად გაგიცნოს, მოგვიყევი, რას საქმიანობ და რამდენად ადაპტირებული გარემო გაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

– მე ვარ ნიკოლოზ წიკლაური, სამართალმცოდნეობის მაგისტრი. ამჟამად ვარ დასაქმებული და საკმაოდ აქტიურად ვცდილობ, საკუთარ თავზე მუშაობასა და განვითარებას. ძალიან მიყვარს მუსიკა, პროგრამირება და კითხვა. რაც შეეხება გარემოსა და მის ადაპტირებას, როგორც უსინათლო ადამიანი, ამ ეტაპზე ვაწყდები გარკვეულ ბარიერებს, თუმცა ეს არც თუ ისე დიდი წინაღობაა ჩემი მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ ეს ბარიერები, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ დღითიდღე იკლებს, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ნელ-ნელა იზრდება საკითხით დაინტერესებულ პირთა რიცხვი, აქტივისტების რაოდენობა, გროვდება გამოცდილება და ვეცნობით გამოცდილებებს სხვა ქვეყნებიდან, ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, ინერგება ახალი სისტემები და ა.შ.

– შენი ცხოვრებიდან გამომდინარე, ყველაფერს დამოუკიდებლად ახერხებ, რამდენად რთული გზის გავლა მოგიწია, რომ ამ ეტაპამდე მოსულიყავი?

– ყველაფერი ეს, ერთ ღამეში არ მომხდარა ისევე, როგორც რომი არ აშენებულა ერთ ღამეში! ამაში, პირველ რიგში, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ოჯახს. საკმაოდ მნიშვნელოვანია ბავშვობის ასაკიდან სწორი პოზიციის ჩამოყალიბება, შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ბავშვობიდანვე აქტიურად ვიყავი ჩართული აბსოლუტურად ყველაფერში. ვთამაშობდი ეზოში, დამოუკიდებლად გავდიოდი მეზობლებთან და მაღაზიაშიც კი, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე თეთრი ხელჯოხის შესახებ რამეს გავიგებდი. ოჯახი ყოველთვის იმ პოზიციაზე იყო და არის დღესაც, რომ ჩემთვის ყველაფერი შესაძლებელია. კიდევ ერთი, რამაც ხელი შეუწყო ყველაფერ ამას, იყო ჩემი ინტერესი ყველაფრის მიმართ. თუ კი ვნახავდი, რომ ჩემს ირგვლივ, ვინმე რამეს აკეთებდა, ვცდილობდი, მივსულიყავი, გამერკვია, ჩავრთულიყავი ამ პროცესში და საბოლოო ჯამში, გამომეთქვა სურვილი, რომ გამეკეთებინა იგივე, სხვების დაუხმარებლად.

არ გამოვიდოდა? ვიკითხავდი, რა გავაკეთე არასწორად, გამოვთქვამდი ჩემს აზრებს და ვისმენდი პოზიციებს. ამან საშუალება მომცა, საკმაოდ ბევრ რამეში ვყოფილიყავი ჩართული. თუ ზოგს ფორტეპიანოზე დაკვრა შეუძლებელი ეგონა, ინსტრუმენტს ბავშვობიდან რომ მივუახლოვდი, საკმაოდ მარტივად გავუგე და ავუღე ალღო.

– რის მიმართ გქონდა მძაფრი ინტერესი და გეგონა თუ არა, რომ მისი გამოყენება შენთვის შეუძლებელი იყო?

– ერთ-ერთი ასეთი წინაღობა იყო კომპიუტერი. ჯერ კიდევ ბავშობიდან მიყვარდა ტექნოლოგიები და ვცდილობდი, მათთან დამემყარებინა კარგი ურთიერთობა. რაღაც ნაწილში გამოდიოდა კიდეც (მაგალითად, შემეძლო თამაში „ჯოისტიკით“), თუმცა სრულად, ვერა.

მოგვიანებით, სკოლაში მისვლის შემდეგ, გავიგე ხმოვანი პროგრამის შესახებ, რამაც თამამად შემიძლია ვთქვა, ჩემს ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა. ამან შესაძლებლობა მომცა და დღესაც მაძლევს, წავიკითხო ის წიგნები, რომლებიც მინდა, როცა მინდა და როგორც მინდა. ადრე თუ ოჯახის წევრები მიკითხავდნენ წიგნებს, ახლა უკვე დამოუკიდებლად შემიძლია წაკითხვა და საკმაოდ სწრაფად, დაახლოებით, 4000 სიტყვა წუთში. ამან მომცა საშუალება, ელექტრონული ფორმით გადავიტანო ჩემი აზრები და პოზიციები კომპიუტერში, რაც დღევანდელ დღეს იმას ნიშნავს, რომ შემიძლია, ჩემი ნააზრევი თავისუფლად წავაკითხო ნებისმიერ ადამიანს, არა მარტო მათ, რომლებმაც „ბრაილის შრიფტი“ იციან.

ჩემს ცხოვრებაში, ასევე, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა პროგრამირების შესწავლამაც. მივხვდი, თუ რამხელა ძალისა და პოტენციალის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო კომპიუტერი ჩემთვის, მნიშვნელოვანი იყო, მისი სწორად მართვის შესწავლა, ასე ვთქვათ, მის ენაზე საუბარი. დამაინტერესა, როგორ მუშაობს ხმოვანი პროგრამა, როგორ ხდება ამდენი ურთიერთქმედება წამში. ბევრჯერ გამიფუჭებია კიდეც, თუმცა მოგვიანებით, ისევე ჩემით გამომისწორებია შეცდომები და საბოლოო ჯამში, კარგი გაკვეთილიც მიმიღია ჩემს მიერ დაშვებული შეცდომებიდან.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დღევანდელ დღეს, პროგრამირება შესაძლებლობას მაძლევს, განვსაზღვრო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რადგან როცა ვიცი საჭიროება და ვიცი, თუ როგორ აღმოვფხვრა ის, რაც რჩება, მხოლოდ მოქმედებაა. შემდეგი გარდატეხა იყო ხელოვნური ინტელექტის განვითარება. ამან მომცა შესაძლებლობა, უსინათლო ადამიანის პერსპექტივიდან განმეხორციელებინა აქამდე ჯერ არნახული მოქმედებები, მაგალითად, შესაძლებლობა მომცა, მქონოდა სურათებთან ურთიერთქმედება. გარდა ამისა, შემიძლია, თავისუფლად ამოვიცნო და შევუხამო ფერები, გავარკვიო ფულის კუპიურები მარტივად, ამოვიცნო ნაცნობი სახეები, სოციალურ მედიაში გავეცნო სურათების აღწერას, გადავიღო სურათები და კიდევ მრავალი სხვა.

– რა ფაქტორები გეხმარება, რომ სხვადასხვა ცხოვრებისეულ გამოწვევებს მტკიცედ შეხვდე?

– ფაქტორები ბევრია, თუმცა ზემოხსენებული ფაქტორებიდან, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ მივილტვი, ვიცოდე უფრო მეტი, ყოველდღიურად, არ ვუშინდები სიახლეებს, წინააღმდეგობას და იმას, რომ რამე არ გამოვა. პირიქით, ყველაფერს პოზიტიურად ვუყურებ და მაშინაც კი, როცა რამე არ გამოდის, ვიცი, რომ სიახლეების მიღების დროა.

– როგორი იყო გარემო შენს ირგვლივ, სკოლა, უნივერსიტეტი... რამდენად გქონდა ხელშეწყობა, რომ განათლება სრულყოფილად მიგეღო?

– მიმაჩნია, რომ სკოლის პერიოდში, წვდომა მქონდა ყველაფერთან, რისი შესაძლებლობაც იმ დროს იყო და ამაზე მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა. აქაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ოჯახს იმიტომ, რომ ყოველთვის ცდილობდნენ, რამე ახალი მოეწოდებინათ ჩემთვის. მიხსნიდნენ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა ფერი.

მართალია, იმ დროისთვის, ფერის აღქმა არ შემეძლო, თუმცა კონტექსტუალური გაგება ამ და ბევრ სხვა საკითხზე უნდა მქონოდა. სკოლაში, მართალია, ცოტა ოდენობით, მაგრამ მაინც გვქონდა „ბრაილის“ წიგნები. ეს საშუალებას გვაძლევდა, მეკითხა ლიტერატურა და განმევითარებინა ჩემი თავი. რაც შეეხება უნივერსიტეტს, ჩემი სტუდენტობა სავსე იყო გამოწვევებითაც და პოზიტიური მოგონებებითაც.

საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევა, რასაც ვაწყდებოდი, იყო ის, რომ ზოგიერთი წიგნი არ იყო მისაწვდომი, რადგანაც სკანირებულ დოკუმენტებს ჩვენი პროგრამები იმ დროისთვის საერთოდ ვერ აღიქვამდა. აღიქვამდა,

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№5 13 მარტი 2024 წ

„დაფასოებული“ სიკვდილი

როგორ ვიხსნათ ახალგაზრდობა „კაიფში გაპარვისაგან“

ბათო ჯაფარიძე

დღე არ გავა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ბრიფინგი არ დაინიშნოს და არ გვამცნონ იმის შესახებ, რომ ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული პირი, თუ პირები დააკავეს. დღე არ გავა, საინფორმაციო საშუალებებში ამის შესახებ რამე არ ითქვას და სამწუხაროდ, დღე არ გავა, საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში ზედოზირებით გარდაცვლილი ახალგაზრდა, თუ ხანში შესული არ მიაბარონ მიწას. ნარკოტიკების ისეთი ბუმი, როგორიც ახლაა, საქართველოში არასდროს ყოფილა და არასდროს ისე მარტივი არ ყოფილა ნარკოტიკის შეძენა, როგორც ახლა. არ აქვს მნიშვნელობა ბიუჯეტს, ნარკოტიკის შეძენა 50 ლარიდან შეიძლება და ხარისხისა, თუ ზომა-წონის მიხედვით, ფასი რამდენიმე ათასამდე ადის.

გასულ კვირას, თერჯოლაში, ზედოზირების შედეგად, 22 წლის ბიჭი, არჩილ ბარდაველიძე გარდაიცვალა, სამართალდამცავებმა კი მისი მეგობარი, 19 წლის ანა გუდავა დააკავეს. დაკავებული გოგონა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელის, თამარ გუდავას ქალიშვილია. ჰო, უკვე ყოფილის, რადგან მომხდარის შემდეგ, ქალბატონმა თამარმა დაკავებული თანამდებობა დატოვა და სოციალური ქსელით გავრცელებულ განცხადებაში დაწერა, რომ თუ მისი შვილი მართლაც დამნაშავეა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

ჩვენი ინფორმაციით, ბარდაველიძემ და გუდავამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, რამდენიმე ლოკაციაზე ნარკოტიკი დადეს (და ეს რამდენიმე ლოკაცია 50 ათეულზე მეტია), რის შემდეგაც, ისინი ბარდაველიძის სახლში მივიდნენ და სავარაუდოდ, ნარკოტიკი თავადაც მოიხმარეს. ბიჭი ზედოზირების შედეგად გარდაიცვალა, ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ას ცალამდე დაფასოებული და სარეალიზაციოდ (დასადებად) გამზადებული ნარკოტიკის პაკეტი ნახეს. საგულისხმოა, რომ თვითმხილველთა თქმით, გოგონამ აღიარა, რომ ნარკოტიკები მას ეკუთვნოდა და ყველაფერი გარდაცვლილს არ გადააბრალა, რაც მოცემულ მომენტში, „იდეალური გამოსავალი“ იქნებოდა. გამოძიება მტყუან-მართალს გაარკვევს და დამნაშავეც დაისჯება, მაგრამ რა ეშველება ბარდაველიძეს? ან რა ეშველება იმავე ანა გუდავას, რომელმაც ასეთ ასაკში, უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრამვა მიიღო და რაც მთავარია, წინასწარი ვარაუდით, ამ ასაკში უკვე ნარკოდამოკიდებული გახლავთ?

არაერთხელ დაგვიწერია, რომ ნარკოტიკების მოხმარების ასაკი არა მარტო კატასტროფულად გაახალგაზრდავდა, არამედ, მისი მოხმარება გოგონებმაც დაიწყეს და პროცენტულად, განსაკუთრებით დედაქალაქში, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უფრო მეტია მომხმარებელთა შორის, ვიდრე მამრობითი და მათი ასაკი 14-დან 18 წლამდე მერყეობს. ეს არის კატასტროფული მაჩვენებელი და ეს არის ის რეალობა, რომელიც ვალდებულს გვხდის, პრობლემაზე ხმა თითოეულმა ჩვენგანმა ამოიღოს. ალბათ, აღარ არის იმის დრო, რომ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების გასვენებაში მისულმა ხალხმა ერთმანეთს მხოლოდ ჩურჩულით უთხრას, „თურმე, კაიფში გაპარულა“ და დანანებით გადააქნიოს თავი. ყველაფერ ამას ბრძოლა ერთად უნდა გამოვუცხადოთ, როცა სკვერში მყოფი ზრდასრული ადამიანები ხედავენ, როგორ ქექავს ახალგაზრდა მიწას, თხრის ბალახს, რათა იქ სამალავი მოაწყოს და მერე ფოტოს უღებს, თვალის არიდება და წაყრუება გამოსავალი არ არის, აუცილებელია ხმაური ავტეხოთ, ჰო, პოლიციასთან ვითანამშრომლოთ, 112-ში დავრეკოთ, ვიყვიროთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ასე სათითაოდ, ერთეულები გადავარჩინოთ და ერთეულთა გადარჩენით, ეგებ, უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდეთ.

ნარკოდილერი თითით საჩვენებელი და საძაგებელი უნდა გახდეს, უნდა ვიყვიროთ, რომ კონკრეტული ადამიანი ნარკოტიკებით, ჩვენი შვილების სიცოცხლით ვაჭრობს. გნებავთ, ბულინგი დაარქვით, გნებავთ, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ამის თაობაზე ყველგან უნდა ვისაუბროთ, უნდა ვთქვათ სახელითა და გვარით, უნდა დავდოთ ფოტოები სოციალურ ქსელში და უნდა ჰქონდეს მეტსახელად „ბარიგა“. სხვაგვარად აღარაფერი გამოვა, თორემ სამართალდამცავები ცდას რომ არ აკლებენ, კარგად ჩანს. ყოველდღიურად, ცალობით თუ ათობით აკავებენ ნარკოდანაშაულის გამო კონკრეტულ ადამიანებს, მაგრამ ერთი მოჭრილი თავის ადგილზე, ათი იზრდება და ეს იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან დიდი ფული ტრიალებს ამ სფეროში და ცდუნებას ბევრი, უბრალოდ, ვერ უძლებს. თუნდაც ის რად ღირს, ორიოდე კვირის წინ დაჭერილი ინდოეთის მოქალაქეების ანგარიშზე, ორი წლის განმავლობაში, 14 მილიონი ლარის ბრუნვა რომ დაფიქსირდა. ჰო, საქმე მილიონებს ეხება, მაგრამ ამ მილიონებს ნარკოდილერები შოულობენ, ისინი კი, ვინც მათი გავრცელებით არის დაკავებული, უბრალოდ, მეათე თუ მეასეხარისხოვანი რგოლია. მათ არ ხვდებათ იმ თანხის 1%-იც კი, რომელსაც დილერები იდებენ ჯიბეში და ეს იცის ყველამ, მაგრამ ვაი, რომ ის მცირედიც ბევრისთვის სანატრელი, თუ საოცნებო თანხაა.

საზღვარგარეთ მყოფი ქართველები, ისინი, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ, ამბობენ, რომ ევროპაში ასეთი რამ არ ხდება. უფრო ზუსტად, ისინი ამბობენ, რომ ევროპაში ნარკოტიკი კი იყიდება, მაგრამ არა ისეთი ნაგავი, როგორიც საქართველოში და უკვირთ, როგორ ბედავენ და ეკარებიან მომაკვდინებელ სინთეტიკურ ნარკოტიკს ქართველები. ნიდერლანდებში მცხოვრებლები კი გვიყვებიან, რომ იმ ადგილებში, სადაც „მარიხუანა“ ლეგალურად იყიდება, მყიდველს აჩვენებენ სერთიფიკატს, უხსნიან, სად და რა პირობებშია მოყვანილი „მარიხუანა“, ამტკიცებენ, რომ ის ეკოლოგიურად სუფთაა და რაც მთავარია, არ არის ისე, როგორც ჩვენთან – ველურ „მარიხუანაზე“ დასხმული ქიმიური ხსნარი, რომელიც ფილტვებს ხვრეტს და საბოლოოდ, მისი ხანგრძლივი მოხმარება სიკვდილს იწვევს.

ევროპას და აშშ-ს კი გვინდა დავეტოლოთ, მაგრამ იქაც კი მიხვდნენ, რომ ნარკოლიბერალიზაციამ სიკეთე ვერ მოიტანა, რომ ეს პროცესი შესაჩერებელია, რომ ახალგაზრდა თაობა იღუპება და სწორედ ნარკოტიკებზე კონტროლის გამკაცრების მოთხოვნით, იგივე აშშ-ში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მშობლებმა ასზე მეტი აქცია გამართეს. ჩვენ კი ამისთვის არ გვცალია, ჩვენ სხვა რამ გვაწუხებს, ჩვენ ჯერ ის გვაქვს გასარკვევი, ვინ გადალახავს 5%-იან ბარიერს და ვისი კანდიდატი ვის პარტიაში გაერთიანდება. ამასობაში კი, მივდივართ იქითკენ, რომ მალე, ძალიან მალე ახალგაზრდა თაობა, უბრალოდ, აღარ გვეყოლება, ან გვეყოლება ისეთი, რომელსაც არაფერი დააინტერესებს, ნარკოტიკის მოხმარების გარდა.

სამწუხაროდ, ერის გენსა თუ მენტალიტეტში ჩადებული „წესი“ – სამართალდამცავებთან თანაამშრომლობა „გრეხია“, განსაკუთრებით უფროს თაობაში კვლავ აქტიურია. არადა, სწორედ უფროსმა თაობამ უნდა მოახერხოს ის, რომ ახალგაზრდები როგორმე აიძულოს, მავნე ჩვევაზე უარი თქვან, აიძულოს, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები არ იყვნენ საზოგადოების ის ნაწილი, რომლებსაც ვინმე მიბაძავს და ტაშს დაუკრავს. სამწუხაროდ, ბევრმა, ძალიან ბევრმა მშობელმა არ იცის, რომ მისი შვილი ნარკოდამოკიდებულია, რომ ყოველდღიური ქიმიური ნარკოტიკის ფულზე „ჩალიჩობს“, რომ მთავარ „ბარიგებს“ გარკვეული გასამრჯელოს გამო, ეხმარება ნარკოტიკების გასაღებაში და სხვადასხვა ლოკაციაზე ათავსებს დაფასოებულ „სიკვდილს“. ბევრი ვერც იმას ხვდება, რომ ეს უმძიმესი დანაშაულია, რომ დაკავების შემთხვევაში, შესაძლოა, უვადო პატიმრობაც კი დაემუქროს. არადა, ნარკოდილერები ყველაფერს მარტივ ფერებში უხატავენ, ეუბნებიან, რომ ამისთვის მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმას გამოუწერენ, სინამდვილეში კი, სასჯელი 12 წლიდან იწყება და უვადო თავისუფლების აღკვეთით მთავრდება.

რა დასამალია, გასულ კვირას, ერთ-ერთი ტელევიზიით, საპარლამენტო პარტიის წარმომადგენელი აცხადებდა, ნარკოდილერებს ამნისტია უნდა შეეხოთ, რადგან არ შეიძლება, ადამიანი, რომელიც „მარიხუანას“ ჰყიდის, ციხეში სამუდამოდ გამოვკეტოთ, ან ხანგრძლივი ვადით გავუშვათო. მეტიც, ისინი ამბობენ, რომ თუ მათი შვილები „მარიხუანას“ მოიხმარენ, ისინი არ დაუშლიან და მათთან ერთად, სიამოვნებით გააბოლებენ, რაც ჩემი აზრით, არათუ ცუდია, არამედ, კატასტროფაა და ასეთ მშობლებს მშობლის უფლებაც უნდა ჩამოერთვას და ნარკოტიკების პოპულარიზაციისა თუ პროპაგანდისთვის თავისუფლებაც უნდა აღუკვეთოთ! ჰო, ვიდრე მიდგომა არ გამკაცრდება და არ მივალთ იქამდე, რომ ნარკოპროპაგანდა ოფიციალურად ყველა დონეზე აღვკვეთოთ, არაფერი გვეშველება!

სხვათა შორის, ბევრს მიაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ნარკოდანაშაულისთვის ზედმეტად მკაცრი სასჯელი იყო. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს მართლაც არარეალურად ბევრ წელს აძლევდნენ, მაგრამ „ბარიგებს“ ულაპარაკოდ უნდა მივუსაჯოთ (თუნდაც მაშინ და თუნდაც ახლა) უვადო თავისუფლების აღკვეთა. ჰოდა, ამ მიდგომამ, მკაცრმა სასჯელმა, გაამართლა და გაამართლა იმ მიმართულებით, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი შემცირდა. კიდევ გავიმეორებთ, „მარიხუანას“ მოხმარებისთვის 9 და 10 წლის მიცემა ბევრია, მაგრამ ერთ წელს თუ ციხეში გაატარებს ადამიანი, არაფერი უჭირს, უფრო მძიმე ნარკოტიკისთვის კი, ორი-სამი წელიც შეიძლება, ოღონდ ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში, თუ ნარკოტიკების რეალიზატორებს უპირობოდ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, სამუდამო პატიმრობას მივუსჯით ანუ დააკავეს პირი ნარკოტიკების რეალიზაციაზე და დაუმტკიცეს? აღარ არის საჭირო სასამართლო განხილვა – პირდაპირ უვადო თავისუფლების აღკვეთა და წერტილი!

თაობა კი არა, თაობები იკარგება, ხალხო, ჩვენი შვილები და რაღა შვილები, ლამის ჩვილები გადავიდნენ ნარკოტიკების მოხმარებაზე!

„შენი დაავადების შესახებ ხვალ მთელი სასწავლებელი გაიგებს!“

რატომ და როგორ იძია შური სტუდენტმა გოგონამ ლექტორზე

ბათო ჯაფარიძე

ახალგაზრდა თაობას არ ემახსოვრება, როგორ შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში ინტერნეტი და როგორ უხაროდათ ადამიანებს, როცა გაჩნდა პირველი ელექტრონული ფოსტა. „მაილ.რუ“-სა თუ „ფოსტა.გე“-ზე ბევრი დარეგისტრირდა და ადამიანები ერთმანეთს წერილებს სწერდნენ, უბრალოდ, ერთობოდნენ და ეს იყო რაღაც ახალის დასაწყისი. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ იმ პერიოდისაა და ერთ-ერთი მთავარი როლი, სწორედ ელექტრონული ფოსტის კონკრეტულ მისამართს ჰქონდა.

პროკურატურაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ მისმა საცოლემ ოფიციალური ვერსიით, სუიციდი სცადა, თუმცა ის ოფიციალურ ვერსიას არ ენდობოდა და ჯიუტად იმეორებდა, მისი მოკვლა სცადეს და ზუსტად ვიცი, ეს ვინ გააკეთაო.

„მე მცირე ბიზნესი მაქვს, მაგრამ საქმე ძალიან კარგად მიმდის. ჩემს საცოლეს ფორმალურად ერქვა საცოლე, სინამდვილეში, ცოლი იყო, ერთად ვცხოვრობდით, ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ ქორწილს ვაპირებდით და ხელმოწერაც ქორწილის დღეს გვსურდა. ორი თვის წინ, ჩემი ყოფილი მეგობარი გოგონა შემხვდა ქუჩაში, რომელთანაც ურთიერთობა სამი წლის წინ გავწყვიტე. ატირდა, სამსახური არ მაქვს, რამე მიშველე, შიმშილით ვკვდებიო. ოჯახში დამხმარეს ვეძებდით, ჩემი მეუღლე ლექტორია, პარალელურად, აბიტურიენტებსაც ამზადებს და პრაქტიკულად, დილიდან საღამომდე დაკავებულია. მეც ასე ვარ და დამხმარე გვჭირდებოდა. ვუთხარი, დამხმარედ აგიყვან, ოღონდ, როგორც კი რამე სახის მინიშნებას გააკეთებ, რომ ჩემთან ურთიერთობის აღდგენა გინდა, მაშინვე სამსახურს დაკარგავ-მეთქი. დამთანხმდა და ყველაფერი კარგად აეწყო. იმდენად კარგად, რომ სახლის გასაღებიც გავუკეთეთ და საქმეებს კარგად უძღვებოდა, მაგრამ ორიოდე კვირის წინ, ჩემი ცოლის დასანახად მომეხვია და მის გასაგონად თქვა, გახსოვს, რა კარგ დროს ვატარებდით, ვიცი, ახლაც გინდივარო. ცოლი ლამის გამიგიჟდა, მე ის სახლიდან გავაგდე და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გამახსენდა, რომ გასაღებიც წაჰყვა. გასაღები კი გამოვართვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასლი გააკეთა, სახლში მოვიდა მაშინ, როცა არ ვიყავით, გრაფიკი გადასარევად იცოდა და ჩემს ცოლს, მის საყვარელ პიტნის ნაყენში ჩაუყარა ის აბები, რომლითაც მოიწამლა და ახლა კომაშია“, – ამბობდა ახალგაზრდა კაცი.

საქმის საპროკურორო შემოწმება დაიწყო და ყველაფერი იქეთკენ წავიდა, რომ საქმის გამომძიებლის ვერსიას სუიციდის მცდელობასთან დაკავშირებით, ლამის პროკურატურაც დაეთანხმა. სამწუხაროდ, არც საკეტს ეტყობოდა, რომ უცხო გასაღებით იყო გაღებული და რაც მთავარია, მოახლე გამოძიებას დაკითხული ჰყავდა, იმ დღეს გოგონა სოფელში იყო წასული, რასაც ბევრი ადამიანი ადასტურებდა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ვერავინ ხვდებოდა, რისთვის სცადა ქალმა თვითმკვლელობა, რადგან მართლაც, ყველაფერი კარგად ჰქონდა აწყობილი, კარგი სამსახური, კარგი ქმარი თუ საქმრო, წარმატებული კარიერა... და უცებ, მკვლელობის მცდელობა. ახსნას ვერავინ პოულობდა და ეს გახლდათ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც პროკურატურამ საქმის დეტალური შემოწმება გადაწყვიტა.

მალე გაირკვა, რომ სუიციდის მცდელობამდე ერთი კვირით დღით ადრე, ერთ-ერთმა სამედიცინო დაწესებულებამ, იმ სასწავლებელში, სადაც ქალი ასწავლიდა, უფასო გამოკვლევები ჩაატარა და კვლევის პასუხები ორი დღის წინ გახდა ცნობილი. დასკვნის მიხედვით, ქალს იმ დროისთვის (ახლაც) უმძიმესი ვენერიული დაავადება, სიფილისი ჰქონდა. საქმროსთვის ეს ნამდვილი შოკი იყო, თავში ხელი შემოირტყა, შეუძლებელია, არ მჯერაო, ანალიზი თავადაც ჩააბარა და თან კომაში მყოფი მეუღლის ანალიზის გადამოწმებაც მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ ის სამედიცინო დაწესებულება, რომელმაც უფასო კვლევა ჩაატარა, შეცდა და არც ქალს სჭირდა რამე და არც – კაცს. ძიებით ისიც დადგინდა, რომ იმ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის შვილი, გოგონა, კომაში მყოფი ქალის სტუდენტი იყო. საქმე უფრო და უფრო საინტერესო ხასიათს იღებდა და სხვა ლექტორებმა ისიც თქვეს, ჩვენს კოლეგას ელექტრონული ფოსტაც ჰქონდა, სადაც ხანდახან მუქარის წერილები მისდიოდაო. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა ფოსტის შესწავლაც დაიწყეს და ბოლო წერილი ზუსტად იმ დღეს იყო მიღებული, როცა ქალმა სუიციდი სცადა. წერილში კი ეწერა – „შენი დაავადების შესახებ, ხვალ მთელი სასწავლებელი გაიგებს!“

გამოდიოდა, ინფორმაციამ გაჟონა და ქალმა სირცხვილს თავის მოკვლა არჩია, რეალურად კი, მას ეს დაავადება არ სჭირდა. სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ანუ სტუდენტი გოგონას მამა თავს იმართლებდა, ექიმები შეცდნენ, დიდი ხანია, მე მხოლოდ დირექტორის მოვალეობას ვასრულებო და ლამის მთელ მედპერსონალს სამსახურიდან გაშვებით ემუქრებოდა, განსაკუთრებით კი, ერთ ახალგაზრდა კაცს, რომლის ბრალიც იყო რეალურად შეცდომის დაშვება, რადგან ანალიზებზე პასუხისმგებელი ის იყო. ახალგაზრდა ამბობდა, შემეშალა, შეცდომა მალე ვიპოვეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყოო.

რაც შეეხება ელექტრონულ ფოსტას, გაირკვა, რომ ის ერთ-ერთ სტუდენტს ეკუთვნოდა, რომელსაც გამომძიებლებმა სახლში მიაკითხეს და... ის პირდაღებული უყურებდა მისივე ელექტორნული ფოსტიდან გაშვებულ წერილს და ამბობდა, მე არაფერი გამიგზავნია და ვერც იმას ვხვდები, ეს ვის უნდა გაეკეთებინაო.

იმის მიუხედავად, რომ გამომძიებლებს სხვა ეჭვმიტანილი არ ჰყავდათ, შინაგანად ხვდებოდნენ, რომ ბიჭი მართლაც პირველად ხედავდა გაგზავნილ წერილს და რასაც ამბობდა, აბსოლუტურად გულწრფელი იყო. თუმცა, მათ იმის არ სჯეროდათ, რომ ბიჭს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა. მან ან ვინმე დასვა საკუთარ კომპიუტერთან, როცა ფოსტა გახსნილი ჰქონდა, ან ვიღაცას ფოსტის პაროლი უთხრა და იმ ვიღაცამ ამით ბოროტად ისარგებლა. იმ დროისთვის, არც IT-ტექნოლოგიები იყო იმ დონეზე განვითარებული, ყველაფერი გაერკვიათ, მაგრამ იმის გარკვევა კი მოახერხეს, რომ ფოსტაში ბიჭის კომპიუტერის გარდა, სხვა კომპიუტერიდანაც იყვნენ შესულნი და ის „სხვა“ კომპიუტერი... იმ სამედიცინო დაწესებულებაში იდგა, რომელმაც კვლევა ჩაატარა. ცხადი იყო, რომ ვიღაცამ შეცდომა შემთხვევით არ დაუშვა და რაც მთავარია, იმ ვიღაცას ლექტორის ფიზიკური თუ არა, მორალური განადგურება ნამდვილად ჰქონდა დასახული მიზნად და იმის გათვალისიწნებით, რაც მოხდა, მიზანს მიაღწია კიდეც. სამედიცინო დაწესებულებაში წასვლას აზრი არ ჰქონდა, უფრო რეალური ის ჩანდა, რომ სტუდენტი ბიჭი გამოეტეხათ, ვის და რა მიზეზით მისცა ელექტრონული ფოსტის მისამართი და იმის მიუხედავად, რომ ბიჭი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, როცა ხელზე ბორკილები დაადეს და უთხრეს, ხვალ სასამართლოზე წინასწარ პატიმრობას შეგიფარდებთო, გამომძიებლებს მაშინვე მუხლებში ჩაუვარდა და იყვირა, აღიარებისთვის მზად ვარო.

„მე ის მიყვარს... ძალიან მიყვარს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ თავად მხოლოდ მიყენებს. მამამისი სამედიცინო დაწესებულების მფლობელია, ის ყველაფრით უზრუნველყოფილია, მე კი ვინ ვარ, მშიერი სტუდენტი, რომელსაც არაფერი გააჩნია. ეს კომპიუტერიც კი, მხოლოდ მას შემდეგ ვიყიდე, რაც დედამ პიანინო გაყიდა. ელექტრონული ფოსტის მისამართიც სწორედ მას მივეცი, მითხრა, მჭირდებაო და უარი არ მითქვამს. რა ვიცოდი, რას აპირებდა“, – ამბობდა ბიჭი და მისივე თქმით, გოგონა ლექტორს ვერ იტანდა, რადგან ის პრაქტიკულად ერთადერთი იყო, რომელიც ნიშანს მამის ხათრით არ უწერდა და სწავლას სთხოვდა. გოგონა დააკავეს, თუმცა მისი თავხედური ქცევიდან გამომდინარე, გამოტეხვა ადვილი არ იქნებოდა. ამის მიუხედავად, გოგონამ საუბარი მაინც დაიწყო.

„ვიღაც მშიერი ლექტორის გამო ატეხეთ ამხელა ამბავი? ის, ალბათ, გადარჩება, ან არ გადარჩება. არ მეგონა, თუ ასეთი თავმოყვარე იყო, მეგონა, უბრალოდ ბევრს ინერვიულებდა, თუმცა არც ეს ვარიანტია ცუდი. თქვენ მამაჩემს არ იცნობთ, მას უამრავი მეგობარი ჰყავს, რომლებიც ყველაფერს იზამენ, რომ აქედან დღესვე გამიყვანონ“, – განაცხადა დაკავებულმა.

პარალელურად, ლექტორი კომიდან გამოვიდა და აღიარა, რომ თავის მოკვლა, სწორედ სამედიცინო დიაგნოზის გამო სცადა და როცა უთხრეს, რომ ყველაფერი შეგნებულად იყო გაკეთებული, თან გაუხარდა, თან შეშფოთდა, სადამდე შეიძლება ადამიანი დაეცესო. საბოლოოდ, ყველაფერი დაახლოებით ისე მოხდა, როგორც გოგონამ ივარაუდა. მაამამისმა მთელი სანაცნობო ჩარია და გოგონას მხოლოდ ორწლიანი პირობითი სასჯელი მისცეს. ის სხვა სასწავლებელში გადავიდა, ექიმმა, რომელმაც შეცდომა დაუშვა, აღიარა, რომ გოგონამ ის დააშანტაჟა, აქაოდა, მამაჩემს ვეტყვი, ვითომ გაუპატიურებას მიპირებდიო და სამსახურსაც დაგაკარგვინებ და ციხეშიც აღმოჩნდებიო. ლექტორი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, საყვარელ მამაკაცსაც გაჰყვა ცოლად, გოგონამ კი... დღეს ის, მამამისის საქმიანობას აგრძელებს და ერთ-ერთი კერძო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელია.

ბათო ჯაფარიძე

თბილისის შემოგარენში სახლები ადრე მრავლად იდგა. უფრო ზუსტად, მათ სახლებს ნაკლებად დაარქმევდა კაცი, უფრო ბარაკები იყო, სადაც ის ადამიანები ცხოვრობდნენ, ვინც დედაქალაქს რძის პროდუქტებითა და მწვანილით ამარაგებდნენ. ახლა კი, ბარაკებისადგილზე, მაღალსართულიანი კორპუსებია წამოჭიმული და რაც მთავარია, თბილისში აღარ არის ის კოლორიტი, რომელსაც მემაწვნე, მემწვანილე ერქვა. სწორედ ასეთი ბარაკიდან დარეკეს მილიციის განყოფილებაში. მარტოხელა ქალი დახმარებას ითხოვდა, აქაოდა, ღამით ჩემს სახლთან მოჩვენება დადის და მიშველეთო. რა თქმა უნდა, სერიოზულად ეს არავინ აღიქვა, მაგრამ როცა ერთ ღამეს ქალის სახლის ფანჯარა ჩაიმტვრა და ქვა შევარდა, სამართალდამცავებმა კეთილი, ინებეს და ორი ოპერმუშაკი მიავლინეს. თან ისე, რომ მათი არსებობის შესახებ მხოლოდ ქალმა იცოდა და კაცებმაც პატარა სახლში ოთახი იქირავეს, აქ მტკვარი სუფთაა და სათევზაოდ გვინდა ვიაროთო.

ქართული კრიმინალი ინდური ფილმის სცენარით

ვინ არის გოგო, რომელიც მარტოხელა ქალს ღამ-ღამობით აშინებდა

მალე გაირკვა, რომ ქალი მარტო ცხოვრობდა, გათხოვილი არასდროს ყოფილა და რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთმა მეზობელმა ტელევიზორი მოპარა. ქალმა იჩივლა, მეზობელი დააკავეს და ქორდობისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სოფლელები ამბობდნენ, იმ კაცის ძმა, რომელიც მეათე კლასშია, იმუქრება, მაგ ქალს ვანანებ, ჩემი ძმა რომ ციხეში გაუშვაო და მთავარ ეჭვმიტანილადაც ის იქცა. ოპერმუშაკების ჩასვლიდან მეორე დღეს, ქალის კივილმა ადგილობრივი დასახლება შეძრა – მისი სახლის ფანჯრებიდან კვამლი გამოდიოდა და ისე ჩანდა, რომ ხის სახლს ცეცხლი ეკიდა. ერთ-ერთმა სამართალდამცავმა თავი გამოიდო, სახლში შევარდა და იქიდან მალე კვამლის შაშხანით გამოვიდა. ასეთებს სამხერდოები იყენებდნენ და მისი შოვნა „შავ ბაზარზეც“ შეიძლებოდა, ძირითადად მონადირეები ყიდულებდნენ, ისინი, ვინც ზამთარში, მთაში დათვზე ნადორობდნენ, ბუნაგში უგდებდნენ საწყალ ცხოველს და გარეთ გამოსულს კლავდნენ. ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო კვამლის შაშხანა, სოფელში ვერავინ ამბბოდა, რადგან არც მონადირე იყო ვინმე და არც არასდროს გაეგოთ, რომ ვინმეს შინ ასეთი ნივთი ჰქონდა. რაც მთავარია, იმ პერიოდში მთავარი ეჭვმიტანილი, დაკავებული პირის ძმა სკოლაში, გაკვეთილზე იჯდა ანუ ეს მისი ნახელავი არ იყო.

სანამ ოპერმუშაკები იმას არკვევდნენ, ვინ იდგა ყველაფრის უკან, ქალის ფანჯარაში კიდევ ერთი ქვა შევარდა, რომელზეც ქაღალდი იყო შემოხვეული და ეწერა – „შემდეგში ცეცხლი ნამდვილი იქნება“. ეს უკვე აღარ იყო რიგითი ხულიგნობა, ეს სისხლის სამართლის დანაშაული იყო, სახლის გადაწვის მუქარით. ოპერმუშაკები იმითაც დაინტერესდნენ, რომ ყოველი შემთხვევის შემდეგ, ქალის ეზოში გვერდით მცხოვრები მამაკაცი ხვდებოდათ, ექიმი, რომელიც ქალაქში მუშაობდა და ქალი ადასტურებდა, რომ პირველად მისი კივილი სწორედ ამ კაცს ესმოდა და ისიც საშველად თავქოდმოგლეჯილი მირბოდა. გადაამოწმეს მისი წარსული და საეჭვო ვერაფერი ნახეს – ექიმს ცოლი რამდენიმე წლის წინ სიმსივნით მოუკვდა, ერთადერთ შვილს მარტო ზრდიდა და იმ დროისთვის შვილი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა. არაფერი საეჭვო და კრიმინალური, პირიქით, კაცი სოფელში დაფასებული იყო, ყველა პატივს სცემდა, ყველას დამხმარე იყო, ყველას ხელს უმართავდა, პრაქტიკულად, სოფლის ექიმის ფუნქციებს ასრულებდა. მოგეხსენებათ, მარტოხელა მამაკაცს აუცილებლად სჭირდება ქალი და სამართალდამცავებმა ისიც გაარკვეს, რომ მას საყვარელი დედაქალაქში ჰყავდა და არა სოფლად, ამიტომ, რაიმეზე ეჭვინაობა, ან მეზობლის ქალთან სასიყვარულო ურთიერთობა გამორიცხული გახლდათ.

„ახლა, ჩემი მთავარი მიზანი იცით, რა არის? ჩემი ბიჭის საცოლე არ გათხოვდეს, სანამ ის ჯარიდან არ დაბრუნდება. მოგეხსენებათ, ჯარში ყოფნა არცთუ მარტივია, სხვა რამეზე არ უნდა იფიქრო. ამ გომბიომ კი, გადაწყვიტა, რომ გვერდით სოფელში მცხოვრებ ბიჭს გაჰყვეს ცოლად. ვეხვეწები, ვემუდარები, რომ ეს არ გააკეთოს, სანამ ჩემს შვილს თუნდაც ორი თვე არ დარჩება ჯარის დასრულებამდე, მეშინია, იქ თავს რამე არ აუტეხოს, ეს გოგო ძალიან, ძალიან უყვარს, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე“, – მოუყვა ოპერებს ექიმი.

ჩვეულებრივი, სოფლის ბანალური ისტორია სამართალდამცავებისთვის საინტერესო არ იყო, მაგრამ ექიმს მაინც მოუსმინეს. კითხვაზე, ვინ შეიძლებოდა მტრობდეს მის მეზობელ ქალს, ექიმმა მხრები აიჩეჩა, სახლები გვერდიგვერდ გვიდგას, დილით 6-ზე ვდგები, ვვარჯიშობ, ყველაფერი ხელისგულივით ჩანს და არ მახსოვს, ვინმე უდროოდ მისულიყო ან მოსულიყო ქალთან, არც უცხო დამინახავსო. ამის მიუხედავად, ოპერებმა ექიმს სთხოვეს, ეგებ, ერთი ოთახი დაგვითმო, ღამით რიგ-რიგობით ვიმორიგევებთ, იქნებ, ვინმე დავიჭიროთო. ექიმი ერთგვარი ენთუზიაზმითაც კი დათანხმდა და ისიც თქვა, ღამით, როცა დედაქალაქში მიწევს მორიგეობა, ცოტა მეშინია კიდეც, სახლში არავინ შემოძვრეს, სადაც ამ ქალის სახლსასე ერჩიან, ეგებ, ჩემი სახლიც მოუვიდეს ვინმეს თვალშიო. რაც მთავარია, ოპერები ექიმთან ისე გადავიდნენ, რომ სოფელში მაცხოვრებლებს ვერაფერი გაეგოთ. დღისით ისინი ნაქირავები სახლის ეზოში ტრიალებდნენ, ღამით კი ექიმთან გადადიოდნენ და რიგ-რიგობით მორიგეობდენენ ფანჯარასთან. ცდა დიდ ხანს არ მოუხდათ – ერთ ღამესაც ვიღაც ქალის სახლთან მივიდა, ფანჯარაზე დააკაკუნა და თან თეთრი ზეწარი გადაიფარა. ქალის კივილმა ცა გახია, ოპერები ექიმთან ერთად, მაშინვე გამოვარდნენ, მაგრამ მოჩვენება მართლა მოჩვენებასავით გაქრა.

„თავს ვერ დავდებ, მაგრამ 90%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც ქალის შეშინება გადაწყვიტა, მამრობითი სქესის არ იყო. სიარულის, გაქცევის მანერა და მკერდი აშკარად ქალის ჰქონდა. თუ მკერდის ადგილზე კვალის აბნევის ან შემთხვევით ვინმეს მხრიდან დანახვისგან დაზღვევა იყო, ქალივით სიარულსა და სირბილს ვერ მოიფიქრებდა. გოგონას ვეძებთ და არა – ბიჭს“, – დაასკვნა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა.

საქმე ძალიან გაიწელა და დედაქალაქში ხელმძღვანელობას ნერვებმა უმტუყნა. ამიტომ, მათ სოფლად გამოცდილი გამომძიებელი მიავლინეს და თან ეჭვი ჰქონდათ, რომ ოპერების დანახვის შემდეგ, ის, ვინც ქალს ერჩოდა, რამდენიმე დღით მაინც გაჩერდებოდა და დაიმალებოდა. გამომძიებელმა ექიმს წვრილად გამოჰკითხა მომხდარის შესახებ, გამოჰკთხა ქალიც და ოთახში შეიკეტა. დაახლოებით ექვსი საათის შემდეგ, ოთახის კარი გააღო და ოპერმუშაკებთან ერთად, ექიმიც შეიპატიჟა.

„რამდენიმე კანონზომიერება აღმოვაჩინე და არ შეიძლება, ეს შემთხვევით იყოს. პირველი ის, რომ თავდასხმა მაშინ ხდება, როცა თქვენ სახლში ხართ. არც ერთხელ არ მომხდარა ისე, რომ ქალი შეეშინებინოთ მაშინ, როცა თქვენ სახლში არ ხართ. მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც თავდასხმები ხდება, ერთი შეხედვით, ქალის შეშინებაა, მაგრამ არის მეორე ვარიანტიც – ამ დროს პირველი თქვენ მორბიხართ და ეჭვი მაქვს, მაგ დროს სახლის კარის გასაღებით დაკეტვაზე არ ფიქრობთ. ხომ არ გაქვთ რამე ისეთი, რის გამოც, ვინმეს თქვენს სახლში შემოსვლა უნდოდეს? ვგულისხმობ ფულად თანხას, ძვირფას ნივთს, ან ექიმი ხართ და ხომ არ გაქვთ სახლში მორფი?“ – გამომძიებელი მტკიცედ და მკაცრად საუბრობდა.

სამართალდამცავებმა შენიშნეს, რომ ექიმი ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ სულ ორი წამით, შემდეგ თავი ხელში აიყვანა და რაც შეიძლებოდა მშვიდად თქვა – „მთელი დანაზოგი, არც ისე ბევრი, სამსახურის სეიფში მაქვს ჩაკეტილი, არ მაქვს ძვირფასი ნივთი და მით უმეტეს მორფი“. ამის მიუხედავად, მისი წამიერი დაბნევა ძალოვნებისთვის საკმარისი იყო. ისინი ექიმს შეუთანხმდნენ, გამოაცხადეს, რომ დედაქალაქში ბრუნდებოდნენ და სინამდვილეში, სამივე ექიმის სახლში ისე დარჩა, რომ ყველასთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. ორიოდე დღეში, საღამო ხანს, ქალის სახლს, უკანა მხრიდან ფანჯარა ჩაუმტვრიეს, ქალი ისევ აკივლდა და მის საშველად ექიმი გავარდა, რომელსაც სახლის კარი გაღებული „დარჩა“. სამი ოთახის ფანჯაარასთან ჩასაფრებულმა ძალოვნებმა დაინახეს, როგორ გასხლტა გოგონას სილუეტი ქალის სახლის უკანა მხრიდან და როგორ აიღო გეზი ექიმის სახლისკენ. ის ღია კარში მალე შემოძვრა და ოთახის საფუძვლიანი ჩხრეკა დაიწყო. აშკარა გახლდათ, ის რაღაცას ეძებდა, ეძებდა გამალებით, მაგრამ ისე, რომ სახლს არეულობა არ დასტყობოდა. რა თქმა უნდა, ოპერმუშაკებმა გოგონა მარტივად დააკავეს. ის ექიმის ჯარში მყოფი შვილის საცოლე აღმოჩნდა.

„კი, ექიმის შვილი მიყვარდა, ძალიან მიყვარდა. ისე ძალიან, რომ ერთხელ აქ, სახლში, მისი „ზენიტით“ სურათი წელსზემოთ შიშვლებმა გადავიღეთ. ფოტომოყვარული იყო, დააყენა აპარატი, ჩვენ გავშიშვლდით და გადავიღეთ. მეტი არაფერი მომხდარა, მართლა არაფერი. ახლა სხვა მივყარს, ცოლად მივყვები, ეს ექიმი კი, მეუბნება, რომ ის სურათი ნახა და ჩემს მომავალ ქმარს ანახებს, ქორწილს ჩამიშლის და აქაც, დასახლებაშიც თავს მომჭრის. სწორედ იმ სურათს ვეძებ, თრემ მეზობელი ქალის ჯავრი საერთოდ არ მჭირს. უბრალოდ, ექიმს კარზე საიმედო საკეტი აქვს, სხვანაირად აქ ვერ შემოვაღწევდი და ეს მოვიფიქრე“,-განაცხადა გოგონამ და ექიმმაც მისი სიტყვები დაადასტურა.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი ინდური ფილმივით მორჩა. მომხდარიდან მესამე დღეს, ექიმმა შვილის წერილი მიიღო, ჯარში მედდა შემიყვარდა, ხელსაც აქ მვოაწერთ, უკან ცოლთან ერთად დავბრუნდები და ეგებ, ჩემს საცოლეს შენ დაელაპარაკო, შენ აუხსნა, რაც მოხდაო. ყველა ბედნიერი იყო, გარდა ქალისა, რომელსაც სხვისი სასიყვარულო ინტრიგებისა თუ კომპრომატის გამო, ცხოვრება ცოტა ხნით ჯოჯოხეთად უქციეს.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის წარდგინებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლითაც ცვლილებები შედის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და თანმდევ კანონებში.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილ მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, 2006 წლის შემდეგ, პირველად, კომპენსაციის მიმღები ყველა პირისთვის იზრდება პენსიის (კომპენსაციის) მაქსიმალური ზღვარი და დღეს არსებული 560-ლარიანი ლიმიტის ნაცვლად იქნება 1000 ლარი, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცველის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახისთვის დადგენილი ყოველთვიური პენსიის ოდენობა 1000 ლარის ნაცვლად, იქნება 1200 ლარი.

კომპენსაცია, ასევე, გაეზრდებათ, ყოფილ მოსამართლეებს, ყოფილ პროკურორებს, ყოფილ პარლამენტარებსა და პარლამენტის აპარატის ყოფილ თანამშრომლებს, ყოფილ დიპლომატებს, სამოქალაქო ავიაციის ყოფილ მოსამსახურეებს, ყოფილ გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეებს.

ცვლილებების თანახმად, 2013 წლის შემდეგ, პირველად იზრდება კანონით დადგენილი კოეფიციენტები შემდეგი პრინციპით:

ა) უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირი (რიგითი - ზემდეგი) - 5 ლარი, ნაცვლად 2 ლარისა;

ბ) საშუალო სპეციალური წოდების მქონე პირი (უმცროსი ლეიტენანტი - კაპიტანი) - 10 ლარი, ნაცვლად 5 ლარისა;

გ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირი (მაიორი - პოლკოვნიკი) - 15 ლარი, ნაცვლად 10 ლარისა;

დ) უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირი (გენერალ-მაიორი - გენერალ-პოლკოვნიკი) - 25 ლარი, ნაცვლად 15 ლარისა.

ანალოგიურად იზრდება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის გაანგარიშების ოდენობა.

ამასთან, ცვლილების შესაბამისად, მეხანძრე-მაშველებს ნამსახურების ვადაში დამატებით ჩაეთვლებათ 2005–2015 წლებში მუნიციპალიტეტის ორგანოებში წოდების გარეშე ნამსახურების პერიოდი.

საკანონმდებლო განხილვების დასრულების შემდეგ, აღნიშნული ცვლილებები 2024 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ძიუდოში ვეტერანთა შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატში პირველობა მოიპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებმა, ძიუდოს აკადემიაში, ძიუდოში ვეტერანთა შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს და შესაბამის წონით კატეგორიებში პირველობა მოიპოვეს.

ტურნირზე ზურაბ დოღანაძემ, ბეჟან ჩიხელიძემ, იოსებ მარგველაშვილმა, დიმიტრი მულაძემ, რამაზ ჩოჩიშვილმა და ბუხუტი ნიკურაძემ შესაბამის წონით კატეგორიებში მეტოქეები დაამარცხეს და პირველი ადგილი მოიპოვეს. ხოლო ამავე შეჯიბრში დევი გობეჯიშვილი და ჯამბულ მჭედლიშვილი მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გამარჯვებულები, ასევე, ევროპისა და მსოფლიო ტურნირების არაერთგზის პრიზიორები არიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, მსგავს ტურნირებში აქტიურად მონაწილეობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორად გურამ დავითაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გურამ დავითაშვილი წარუდგინა, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობაზე ვახტანგ გაბრიჭიძე შეცვალა. ვახტანგ გაბრიჭიძე საქმიანობას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის პოზიციაზე აგრძელებს.

ალექსანდრე დარახველიძემ მიგრაციის დეპარტამენტის ახლად დანიშნულ დირექტორთან ერთად დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განიხილა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის პოზიციაზე დანიშვნამდე, გურამ დავითაშვილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა.

გურამ დავითაშვილს უწყებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის ექვსი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, ქვემო ქართლის, აჭარისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით ექვსი პირი დააკავეს.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების, გასაღების მცდელობის, ასევე, უკანონო შეძენა-შენახვის, „მარიხუანას“ გასაღებისა და უკანონო შეძენა-შენახვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1996 წელს დაბადებული ბ.ნ., 1999 წელს დაბადებული ი.ბ., 1989 წელს დაბადებული ე.ხ., წარსულში ნასამართლევები -1986 წელს დაბადებული მ.ე., 2003 წელს დაბადებული ლ.უ. და 1985 წელს დაბადებული რ.ჯ.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, ბელარუსისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. დანაშაული 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე, განხორციელებული ნარკოტიკის საკონტროლო შესყიდვების, ასევე, ბრალდებულების მიერ მითითებული ლოკაციებიდან, მათი პირადი, ავტომანქანების და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული ე.ხ. -სგან მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებული რ.ჯ.-სგან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „მეტადონი“, ხოლო ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად „ჰაშიში“ ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, ლ.უ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას სოციალური აპლიკაციის - „ტელეგრამის“ გამოყენებით ახდენდა. ლ.უ.-ს მიერ თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე სარეალიზაციოდ განთავსებული „მარიხუანა“ სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, რუსთავში ბ.ნ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 60 შეკვრა ნარკოტიკული ნივთიერება „მეფედრონი“. გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.ნ. ნარკოტიკულ საშუალებებს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ე.წ. დადების მეთოდით სხვადასხვა ლოკაციაზე ათავსებდა. სამართალდამცველებმა ბრალდებულის მიერ თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული ნარკოტიკული საშუალებების „მეტადონისა“ და „ალფა პვპ“ - ს შემცველი ნივთიერებები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ბათუმში, ი. ბ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით „მარიხუანა“, ნარკოტიკულ საშუალების შემცველი 43 ძირი მცენარე კანაფი. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული აღნიშნული მცენარის კულტივირებას თავის საცხოვრებელ სახლში მოწყობილ სპეციალურ სათბურებში ახდენდა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა მ.ე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი, ავტომანქანისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები - „სუბოტექსი“ და „მარიხუანა“.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 265-ე მუხლებითა და 273 -ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

ლეგენდების მატჩი წავაგეთ, ფეხბურთმა – მოიგო

7 მარტს, ბათუმში, ლეგენდების მატჩი გაიმართა. საქართველოს ნაკრების ვეტერანებს, მილანის „ინტერის“ ვეტერანები დაუპირისპირდნენ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ორივე გუნდის რიგებში მოთამაშე ფეხბურთელები დღეს რომ ახალგაზრდები იყვნენ და დღევანდელი ფასებით გაიყიდონ, მათი საერთო ღირებულება მილიარდ დოლარს გადააჭარბებს.

როგორც წესი, ასეთი შეხვედრები თვალსასაჩინო სანახავი გამოდის ხოლმე, გოლებით დატვირთული, მაგრამ ეს, ალბათ, იშვიათი გამონაკლისი იყო – გუნდები საქმეს სერიოზულად მიუდგნენ და განსაკუთრებით, სტუმრები ცდილობდნენ სათამაშო დისციპლინა მაქსიმალურად დაეცვათ. ცოდვა გამხელილი სჯობს, უცხოელები ბევრად უკეთეს ფიზიკურ ფორმაში იყვნენ და არც ღიპები ეტყობოდათ ისე, როგორც ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს. ამის მიუხედავად, ძალიან კარგი იყო ძველი თაობის ფეხბურთელების საქმეში ნახვა და რაც მთავარია, მატჩით, რომელიც მსოფლიო მედიამ გააშუქა, ქართულმა ფეხბურთმა აშკარად მოიგო. შეხვედრა კი, არამეგობრული ანგარიშით, იტალიური კლუბის გამარჯვებით, 2:0 დასრულდა და ორივე გოლი, მსოფლიოს ერთ დროს საუკეთესო ფეხბურთელმა, ლუიშ ფიგუმ გაგვიტანა. რაც შეეხება შემადგენლობებს, წაიკითხეთ და ისიამოვნეთ:

საქართველო: ნუკრი რევიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა ცხადაძე, კახა კალაძე, სანდრო კობახიძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: გიორგი ლომაია, ალექსანდრე ამისულაშვილი, გელა შეყილაძე, ჯანო ანანიძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, მალხაზ ასათიანი, არჩილ არველაძე, დავით კვირკველია, გიორგი ღუდუშაური, ოთარ მარცვალაძე, გიორგი მჭედლიძე, გიორგი დემეტრაძე, დავით სირაძე.

ინტერი: ჟულიო სეზარი, ლუსიო, მარკო მატერაცი, ხავიერ ძანეტი, დუგლას მაიკონი, ივან კორდობა, გეორგიოს კარაგუნისი, ესტებან კამბიასო, ლუიშ ფიგუ, უესლი სნაიდერი, დიეგო მილიტო.

შეცვლაზე შევიდნენ: სებასტიან ფრეი, ფაბიო გალანტე, პალასიო, ჰესინ ხარჯა, ბორხა ვალერო, გორან პანდევი, ფრანჩესკო კოლონეზე, დავიდ სუასო.

როგორც გვითხრეს, მესამე ტაიმი ქართველების სრული უპირატესობით წარიმართა და ჩვენმა ბიჭებმა სტუმრები დიდი უპირატესობით დაამარცხეს.

ირლანდია ვილი სანიოლს გვართმევს

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო შეხვედრები ელოდება. ჰო, იმედი გვაქვს, რომ შეხვედრები და არა შეხვედრა. 21 მარტს, ერთა ლიგის ნახევარფინალში ლუქსემბურგს ვმასპინძლობთ და გამარჯვების შემდეგ (ჰო, შემდეგ, და არა შემთხვევაში), საბერძნეთი-ყაზახეთს შორის საუკეთესოს დავუპირისპირდებით და გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. წესითა და რიგით, არა მარტო ფეხბურთელებისა და მწვრთნელების, არამედ, მთელი ფედერაციის, გნებავთ, მთავრობის ყურადღება, სწორედ ამ შეხვედრებისკენ უნდა იყოს გადატანილი, მაგრამ ბრიტანულმა გამოცემებმა ისეთი რამ დაწერეს, ეჭვი გვაქვს, ჩვენი ნაკრების თავკაცს სხვა საფიქრალიც გაუჩინეს.

„ძალიან მალე, ვილი სანიოლი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებას მიიღებს და სავარაუდოდ, წინააღმდეგი არ იქნება, ირლანდიელთა ნაკრები ჩაიბაროს. ის, რომ ფრანგი სპეციალისტი საქართველოს დატოვებს, ცხადია. თუ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანს, მოხსნიან, ხოლო თუ გაიყვანს, თავისით წავა და უკეთეს შეთავაზებას დაელოდება. ამიტომ, ირლანდიელებმა მის გადასაბირებლად სწორი დრო შეარჩიეს“, – წერენ ბრიტანელები.

რატომ? – არველაძე „კარაგიუმრუკიდან“ წავიდა

შოთა არველაძემ თურქული სუპერლიგის „კარაგიუმრუკი“ გასული წლის დეკემბერში ჩაიბარა და მას მაშინვე უთხრეს, რომ მთავარი მიზანი უძლიერესთა შორის დარჩენა იყო. ქართველი სპეციალისტი მუშაობას შეუდგა, გუნდს თავისი ხელიც დაატყო, მეტიც, ყველასგან ჩამოწერილმა კლუბმა, თასის მეოთხედფინალში „გალათასარაი“ დაამარცხა, ნახევარფინალში გავიდა და...

თურქეთის სუპერლიგის 29-ე ტურში, „კარაგიუმრუკი“ სტუმრად „ტრაბზონსპორთან“ დამარცხდა და ეს მარცხი არ იყო მოულოდნელი – კლუბებს სხვადასხვა მიზანი და სხვადასხვა ამბიცია აქვთ. ნამატჩევს კი, არველაძე პრესკონფერენციაზე, ყველასთვის მოულოდნელად, საკმაოდ პესიმისტური განწყობით მივიდა.

„ეს კლუბი ძალიან მიყვარს, სწორედ ამიტომ, თანამდებობიდან მივდივარ. რთული პერიოდია, 9 მატჩი დარჩა და სწორედ ამიტომ, ვთვლი, რომ კლუბში სხვა ატმოსფეროა საჭირო“, – განაცხადა მან და თანამდებობა დატოვა.

იმედია, ძალიან სწორად გაგვიგებს შოთა არველაძე, რასაც ახლა დავწერთ, მაგრამ სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ მოახლოებული სეზონის ბოლოს, მას სხვა, ბევრად ამბიციური კლუბიდან აქვს შეთავაზება და თანამდებობა ახლა სწორედ იმიტომ დატოვა, რომ მთლიანად ახალ კლუბზე გადაერთოს, რომელსაც, სავარაუდოდ, ზაფხულში ჩაიბარებს, მანამდე კი, გუნდისთვის ახალი ფეხბურთელების შერჩევითა და მათთან მოლაპარაკებებით იქნება დაკავებული. „კარაგიუმრუკი“ არველაძის დარი ამბიციური მწვრთნელისთვის მისაღები კლუბი რომ არ არის, ამას ყველა მარტივად ხვდება.

მამარდას თანაგუნდელმა შესაძლოა ვეღარც გაიაროს

„ვალენსია“-„რეალის“ შეხვედრის მიწურულს, ერთ-ერთი ორთაბრძლისას, გიორგი მამარდაშვილის თანაგუნდელს, მუხტარ დიახაბის, მეტოქის ფეხბურთელი ფეხზე ცუდად დაეცა. მინდვრის მოთამაშეების სახეებიდან და რეაქციებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრი იყო, რომ რაღაც საშინელება მოხდა და გვინეელი ლეგიონერი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს,

„დიახაის ყველაზე სერიოზული ტრავმა აქვს, რაც კი შეიძლება ფეხბურთელმა მიიღოს. მას მუხლი ამოუვარდა და როგორც წინა, ისე უკანა ჯვარედინი მყესები გაუწყდა. ვერ გეტვით, რა და როგორ იქნება მომავალში, მაგრამ ჯერ მოედანზე დაბრუნებაზე საუბარი კი არა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ფეხბურთელმა ნორმალურად გავლა შეძლოს. საბოლოოდ, ყველაფერი 12 თვის შემდეგ გვეცოდინება, მოედანზე დაბრუნებას კი, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, 12 თვეზე მეტი დასჭირდება“, – განაცხადა გუნდის ექიმმა.

დიახაბი ოპერაციას საფრანგეთში გაიკეთებს და რეაბილიტაციასაც იქ გაივლის. ერთი წლის შემდეგ გაირკვევა, კარიერას დაასრულებს, თუ კიდევ ექვსთვიან კურსს დაიწყებს, რათა მოედანზე დაბრუნება მოახერხოს, თუმცა მანამდე, მან... ნორმალურად სიარული უნდა შეძლოს.

ფასი ითქვა – კვარაცხელია 150 მილიონად გაიყიდება, რა ეღირება მამარდაშვილი?!

ბოლო მატჩებში, ხვიჩა კვარაცხელია ისე თამაშობს, ყველა ხვდება, რომ „ნაპოლის“ სეზონის ბოლოს მისი შენარჩუნება არათუ გაუჭირდება, არამედ, თუ ამას მოახერხებს, სასწაული იქნება. ამას ხვდება კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი და მისი გარემოცვა არც იმას მალავს, რომ ქართველის თაობაზე, არაერთი კლუბიდან არის წინადადება, თუმცა აქამდე, დე ლაურენტისი ფასის დასახელებისგან თავს იკავებდა. ახლა კი, ირკვევა, რომ ნეაპოლური კლუბის შეფი მზადაა, თავის მარგალიტს 150 მილიონ ევროდ შეელიოს. ერთი შეხედვით, ეს დიდი თანხაა ფეხბურთელში, რომელიც „ნაპოლიმ“ 10 მილიონად იყიდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა საოცრებებს სჩადის კვარაცხელია მინდორზე, ბევრს ეს ფასიც ეცოტავება. კვარა მატჩის საუკეთესოდ იტალიის ჩემპიონატის ბოლოს გამართულ ტურშიც დაასახელეს, სადაც მან გოლიც შეაგდო და ახლა, „ბარსელონასთან“ საჩემპიონთალიგო მატჩისთვის, ყველაზე მეტ საფრთხეს სწორედ მისგან ელიან. ისე, კატალონიური გრანდი ერთ-ერთია, ვისაც ხვიჩას შეძენა სურს და თუ კვარა კატალონიაში გაიბრწყინებს და ხავი ერნანდესის გუნდს ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდებს, ეგებ, ესპანურმა გრანდმა ამ უზარმაზარი თანხის გადახდაზე იფიქროს.

კიდევ ერთი ქართველი, რომლის გარშემო ზაფხულში დიდი ამბები იქნება, გიორგი მამარდაშვილია. ესპანეთის ჩემპიონატის 27-ე ტურში, „ღამურებმა“ საკუთარ მოედანზე „ხეტაფეს“ მინიმალური სხვაობით, 1:0 მოუგეს და შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად, სწორედ მამარდაშვილი დასახელდა. გიომ ხუთი ბურთი მოიგერია და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ჰოდა, ახლა ამბობენ, ზაფხულის სატრანსფერო სეზონში, მის მსურველს 40 მილიონის გადახდა მოუწევსო და ეს მაშინ, როცა გასულ ზაფხულს, მის სანაცვლოდ, „ვალენსიას“ 25 მილიონი არ მისცეს, ეძვირათ, 20 მილიონს იხდიდნენ და ახლა ქართველის გადაბირება გაორმაგებული ფასით მოუწევთ.

გაიცანით ქართველი ბიჭი, რომელმაც შშმ პირებისთვის ადაპტირებული პროგრამა შექმნა

მე-8 გვერდიდან

რომ სურათზე შეიძლებოდა ყოფილიყო ტექსტი, თუმცა რამე ამბიციურზე საუბარი ზედმეტი იყო. სწორედ აქ გაჩნდა იმის საჭიროება, რომ მომხდარიყო ამ ტექსტთან მუშაობაც, თუმცა ესეც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა. ვინაიდან, ჩვენ, უსინათლოთა სკოლაში, ნაკლებად ვიყენებდით ჩვეულებრივ დამწერლობას და წერა-კითხვის პროცესი მიმდინარეობდა „ბრაილის შრიფტით“, კარგი წარმოდგენა არ მქონდა იმის თაობაზე, თუ რომელი ასო როგორ იწერებოდა და რა ფორმა ჰქონდა. შესაბამისად, მჭირდებოდა ისეთი მექანიზმი, რომელიც შეძლებდა სურათის აღქმას და შემდეგ მის შესწავლას და კანონზომიერებების დადგენას. როგორც ყოველთვის, არც ეს მომხდარა ასე უცებ, რადგან მასალა საკმაოდ ბევრი იყო, ასევე აქტივობებიც. სწორედ აქ იყო ხელოვნური ინტელექტის ძალა. ბევრი დაგეგმარებისა და წვრთნის ფაზის შემდეგ მივიღე მოდელი, რომელიც საკმაოდ კარგი სიზუსტით იღებს ქართულ ასოებს სურათიდან და გარდაქმნის ტექსტში, რომელსაც შემდეგ ხმოვანი პროგრამა უკვე მიხმოვანებს. ბევრი ცდის შემდეგ, მივედი იმ სტანდარტიზაციამდე, რაც საშუალებას იძლეოდა, სურათი ისე მომზადებულიყო თავიდანვე, რომ მისი დამუშავება შედარებით მარტივი ყოფილიყო. ამის შემდეგ, საქმის კურსში ჩავაყენე შესაბამისი პირები უნივერსიტეტში და შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ადაპტირებული წიგნების პრობლემა ჯერ ისევ დგას.

კერძოდ, საკმაოდ ძლიერი კომპიუტერია საჭირო, რომ ამდენ დატვირთვას ინტენსიურად გაუძლოს და შედარებით სწრაფად მივიღოთ შედეგი. თუ, ჩვენი თანატოლები გადაშლიან წიგნს და მზად არიან შესასწავლად, ჩვენ ჯერ უნდა მოვიპოვოთ წიგნი, გადავამოწმოთ უამრავი პარამეტრი, გადავატაროთ ათას პროგრამაში და გადავამუშავოთ, ხოლო ამ ყველაფრის შემდეგ, სახელმძღვანელო მზადაა. სწორედ ამიტომ, ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს ეტაპობრივი მუშაობა, რომ მომავალ თაობებს ასეთივე გზის გაკვალვა აღარ მოუწიოთ და ამ სფეროში მიღწეული ეს პროგრესი კიდევ უფრო განვითარდეს მომავალში.

– სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებით იმყოფებოდი საკმაოდ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-ში, რა გამოცდილებები შეგძინა უცხო ქვეყნებში მოგზაურობამ?

– ამ ყველაფერმა საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ჩემს მსოფლმხედველობაზე. პირველ რიგში, გავეცანი ახალ კულტურებს, შევიძინე ახალი მეგობრები და რაც ყველაზე მთავარია, გავეცანი უცხო ქვეყნების გამოცდილებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართულებით. რა პროგრესი აქვთ, რა არის გასაუმჯობესებელი, რა ბარიერებს აწყდებოდნენ თავის დროზე.

აშშ-ში, FLEX-ის პროგრამით ყოფნისას, მქონდა შესაძლებლობა, არა მხოლოდ გავცნობოდი იქაურ კულტურას, არამედ, მაქსიმალურად ვყოფილიყავი ჩართული ამერიკულ ცხოვრებაში, რადგან ვცხოვრობდი ამერიკულ ოჯახში. სწორედ იქ დავადგინე სენსორული ტელეფონების გამოყენების შესახებ, გავიგე, რომ არსებობდა „ბრაილის“ დისპლეები და სხვა ბევრი საშუალება, რაც საკმაოდ ამარტივებდა ყოველდღიურ ცხოვრებას და მხდიდა მეტად დამოუკიდებელს პრაქტიკაში.

ამასთან, მქონდა შესაძლებლობა, უფრო მეტად გამომეცადა თეთრი ხელჯოხი და მესარგებლა გამცილებელი ძაღლის სერვისით, რაც საკმაოდ საფუძვლიანი გამოცდილება იყო. ამ გამოცდილებამ კიდევ უფრო გაუმაგრა ნიადაგი იდეას, რომ ყველაფერი შესაძლებელია, თუ არსებობს სურვილი, მიზნისკენ სწრაფვა და სწორი ხელშეწყობა. მას შემდეგ, ყოველთვის ვცდილობ, არ გავჩერდე, მეტი ვიკვლიო და გავაკეთო იმისათვის, რომ შეიქმნას მეტი პროგრესი შშმ პირთა (უფრო კონკრეტულად, უსინათლოთა) მიმართულებით. ამისთვის უკვე მაქვს უამრავი რესურსი, რომელსაც ვიყენებ ყოველდღიურად.

მელსაც „ადაპტირებული ფოტოშოპი“ ჰქვია, უკეთ რომ აგვიხსნა, რაში ეხმარებათ ეს პროგრამა უსინათლო ადამიანებს?

– ესაა პროგრამა, რომელიც ეხმარება უსინათლო ადამიანებს უფრო მეტი ინტერაქცია ჰქონდეთ სურათებთან. ამ პროგრამის გამოყენებით, უსინათლოებს მარტივად შეუძლიათ, გამოსახონ სხვადასხვა ფორმა თუ ფიგურა, დაადგინონ სახეები სურათზე, შეუცვალონ სურათს ფერი, ან უბრალოდ გადაადგილებით, მეტ დეტალებში შეისწავლონ ის სურათი, რასაც უყურებენ.

ეს პროგრამა მაქსიმალურად იყენებს ხმოვან მეთოდებს ინფორმაციის მისაწოდებლად, ასევე, მათემატიკურ მითითებებსა და ხელოვნურ ინტელექტს, რაც ინფორმაციის ზუსტად გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად იდეის ასეთი სიმარტივისა, პრაქტიკაში ეს არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა. შედეგად, ეს პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიური პროექტია, ჩემს პროექტებს შორის.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, ვეუფლებოდი ვებ-ინტერფეისის დეველოპერის პროფესიას, სადაც კოდის წერასთან ერთად, გავდიოდით დიზაინთან დაკავშირებულ საკითხებსაც. სწორედ აქედან წარმოიშვა ამ პროგრამის იდეა, რომლის მთავარი არსიც, თითქოს ფოტოშოპის ადაპტაცია იყო, თუმცა მოგვიანებით, მას იმდენი მოდული და ფუნქციონალი დაემატა, რომ ფოტოშოპი არაა ასე მორგებული იმ საჭიროებებს, რაც გვჭირდება ჩვენ.

საბოლოო ჯამში, ეს პროგრამა მარტივად ურთიერთქმედებს ფოტოშოპთან და სხვა დიზაინერულ პროგრამებთან, თუმცა ის მუდმივი დახვეწის პროცესშია და მხოლოდ ფოტოშოპის ფუნქციებს არ ასრულებს.

– ვიცი, რომ მუსიკას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში. როდის დაიწყო მუსიკისადმი სიყვარული და ამ მხრივაც თუ მიაღწიე წარმატებას?

– მუსიკა ბავშვობიდან მიყვარს, სწორედ მუსიკა მეხმარება ყველაფერში, როგორც განტვირთვაში, ასევე, გარკვეულწილად, მოტივატორიცაა ჩემთვის. რაც შეეხება წარმატებებს, ვარ მერიის მრავალგზის სტიპენდიანტი, აგრეთვე, მუსიკით ვიყავი გერმანიაშიც, სადაც ჩემს ქვეყანას ჩამოვუტანე პირველი ადგილი. ვოკალის მხრივ, ვარ ცაბაძის კონკურსის გამარჯვებული. მართალია, აქაც იყო გარკვეული გამოწვევები, თუმცა, როგორც ყოველთვის, შრომამ, განვითარების სურვილმა, ინტერესმა და სწორმა მხარდაჭერამ ყველაფერი შემაძლებინა.

– შენი აზრით, რა უნდა შეიცვალოს საქართველოში, რომ უსინათლო ადამიანების ჩართულობა სხვადასხვა საქმიანობაში უფრო გაიზარდოს?

– პირველ რიგში, დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს გარემოს ადაპტაციის ნაწილზე. არსებობს შესაბამისი სტანდარტები და გაიდლაინები, რომლების დაცვის შემთხვევაში, როგორც ციფრული, ასევე, ფიზიკური გარემო ხდება მეტად მისაწვდომი.

აღნიშნული უზრუნველჰყოფს იმას, რომ უსინათლოები უფრო ჩართულები ვიყოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებამ უნდა გაიცნოს მეტი უსინათლო ადამიანი და გაიგოს მათი შესაძლებლობების შესახებ. ამაში ერთ-ერთი, ხელშემწყობი ფაქტორია საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაჩერებების გამოცხადება.

მეორე მხრივ, უსინათლო ადამიანები, რაც შეიძლება მეტად ჩართულები უნდა ვიყოთ მიმდინარე მოვლენებში. ხშირია შემთხვევა, როცა მშობლებიდან და სხვა გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე, ოჯახი ცდილობს, იზოლაციაში ამყოფოს უსინათლო ადამიანი. არადა, რაც საჭიროა, ზუსტად ამის საწინააღმდეგოა – კომუნიკაცია, სოციალიზაცია და მისი ცნობიერების განვითარება. აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისთვის იმის შთაგონება, რომ ყველაფერი შესაძლებელია. ყოველივე ეს, ფსიქოლოგიურად საკმაოდ მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ ბავშვობის ეტაპიდან.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების მხრიდან გადამეტებული დახმარების სურვილი. რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ხალხს დახმარება სურს და ამისთვის მადლობა, თუმცა მნიშვნელოვანია, გავიგოთ ის, რომ ზოგჯერ უსინათლო ადამიანს სურს, გზის დამოუკიდებლად გაკვალვა. აღნიშნულ პროცესს თან ახლავს ბევრი გამოცდილება და ამ დროს, უსინათლო ადამიანი კონცენტრირებულია ერთდროულად ბევრ რამეზე – ხმებზე, სუნზე, ტაქტიკურ ნიშნებზე ფეხქვეშ, შესაძლოა, ტელეფონზე კი, გზის მისანიშნებლად. შესაბამისად, ამ დროს ყველაზე კარგი საშუალებაა, მიახლოებისას ვკითხოთ, სჭირდება თუ არა მას ჩვენი დახმარება, ხოლო თანხმობის შემთხვევაში, რაში და როგორ შეგვიძლია, დავეხმაროთ. ყველას აქვს გარკვეული საჭიროებები და ამ ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, უსინათლო ადამიანი თავად იტყვის, როგორ შეიძლება მისი დახმარება, უფრო უკეთესად.

– ნიკოლოზ, ეს ინტერვიუ უამრავი ადამიანისთვის იქნება მოტივაცია, რას ურჩევდი იმ უსინათლო ადამიანებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ ეს ფუნქცია?

– პირველ რიგში, არ დაკარგონ მოტივაცია და თვითრწმენა! მართალია, ყველას გვაქვს მომენტები, როცა ყველაფერი არც თუ ისე კარგად ლაგდება ხოლმე, თუმცა მთავარია, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ დაღმასვლას აღმასვლა მოჰყვება. მნიშვნელოვანია, პროცესებში აქტიურად ჩართვა და იმ გადაწყვეტილებების თვითონ მიღება, რაც უშუალოდ შენზე ახდენს გავლენას.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი, აუცილებელია მზადყოფნა პასუხისმგებლობის ასაღებად. წარუმატებლობები, შეიძლება, ბევრია, თუმცა ძლიერი ისაა, ვინც მათ არ უშინდება და უდრეკად მიდის მიზნისაკენ. ყოველი წარუმატებლობა ახალი გაკვეთილია და მთავარია, შეცდომებზე სწავლა. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარტო არ ხარ. არსებობენ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებიც, რომლებსაც დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარების წყალობით, შეგიძლია, დავუკავშირდეთ და ვკითხოთ რჩევა.

დახმარების თხოვნა ცუდი არაა. პირიქით, როცა შენ ითხოვ დახმარებას და ცდილობ, ამ დახმარების შემდეგ, თავადაც სცადო იგივე – შედეგზე დამოუკიდებლად გახვიდე, ეს მხოლოდ შენს განვითარებაზე მეტყველებს. აქ მნიშვნელოვანია ოჯახისა და იმ პირების ჩართვა, რომლებიც ამ ეტაპზე ეხმარებიან მათ. დაეხმარეთ მათ თანატოლებთან დაკავშირებაში, სოციალიზაციაში და განვითარებაში, შეძლებისდაგვარად. ყველაფერი ეს, თანაბრად ეხება არა მხოლოდ უსინათლოებს, არამედ, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

დიეტური ლუდი სპორტსმენებისთვის

სტარტაპი La Orange იტალიური ვერონადან, პროექტ Biova-სა და კომპანია Riso Gallo-თან ერთად, ლუდის საფუძველზე ენერგეტიკულ სასმელს აწარმოებს, რომელიც ტრადიციულ, ქარვისფერ სასმელთან შედარებით, ორჯერ მეტ კალორიას შეიცავს. ის სპეციალურად, სპორტით დაკავებული ადამიანებისთვის შექმნეს. დიეტური ლუდი, რომელიც Action Biova-ის სახელით გამოდის, მზადდება დამტვრეული წითელი ბრინჯისგან, რომელიც მისი წარმოების დროს იყრება. ამ გზით კომპანია საკვები ნარჩენების შემცირებასაც მოახერხებს. დიეტური ბრინჯის ლუდი სულ სამგრადუსიანი, გაუფილტრავი, არაპასტერიზებული სასმელია, მდიდარია მინერალური მარილებითა და ანტიოქსიდანტებით. ამიტომ, იდეალურია მათთვის, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ. ჯერჯერობით, ახალი სასმელის დაგემოვნება მხოლოდ მათ შეუძლიათ, რომლებიც მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში. მწარმოებელი კომპანიის განცხადებით, ლუდი უახლოეს მომავალში გამოჩნდება ჩრდილოეთ იტალიის სუპერმარკეტებში.

3D-ბოტასები წონას გაგიკონტროლებთ

ბრიტანელმა სწავლულებმა სამგანზომილებიან პრინტერზე სპორტული ფეხსაცმელი დაბეჭდეს, რომელიც ადამიანის ფეხის ზომას თავად ერგება. გარდა ამისა, ბოტასები მომხმარებელს აცნობებს წონის მატებას და ოფლის გამოყოფასაც არეგულირებს. მის ძირებზე ჩამაგრებულია სპეციალური სენსორები, რათა ინფორმაცია მოაგროვონ. ამის შემდეგ, ის ავტომატურად გადადის კლიენტის ვირტუალურ ღრუბელში. ამასთან, სიახლე გარემო პირობებსაც აფასებს და მისი დაბინძურების ხარისხზეც იძლევა ინფორმაციას. 3D-ბოტასები ამჟამად დუბაის მომავლის მუზეუმშია გამოფენილი. მისი ავტორები გეგმავენ, ფეხსაცმელი წარმოებაში მალე ჩაუშვან და სამი წლის შემდეგ, გასაყიდად გამოტანასაც ვარაუდობენ. მოდელები ორ ვერსიად გამოვა – სტანდარტული და პრემიალური. ბოტასების ღირებულება, დაახლოებით, 200-დან 500 ევრომდე იქნება.

პარიზში ველოტაქსითაც იმგზავრებთ

საფრანგეთის დედაქალაქში ველოტაქსის სერვისი – Heetch Bike ამოქმედდა. ელექტროველოსიპედზე ამხედრებული მძღოლი მგზავრებს სპეციალური, მისაბმელი კაბინით გადაიყვანს. როგორც სერვისის იდეის ავტორები ამტკიცებენ, გადაადგილების ასეთი საშუალება ეგრეთ წოდებული ტუკ-ტუკებისგან განსხვავდება. თანაც, ველოტაქსით მგზავრი დანიშნულების ადგილას 40%-ით სწრაფად და 20%-ით იაფად მივა, ვიდრე პოპულარული Uber-ის სერვისით სარგებლობისას. მიბმული კაბინა წინ და გვერდებზე შუშით არის დაცული, ასე რომ, ველოტაქსით ცუდ ამინდშიც შესაძლებელი იქნება მგზავრობა. ახალი სერვისით სარგებლობა, ჯერჯერობით, მხოლოდ შაბათ-კვირას იქნება შესაძლებელი.

ჟურნალი ოთხ წელიწადში ერთხელ გამოდის

ცოტა ხნის წინ, საფრანგეთში, უნიკალური სატირული გაზეთის – La Bougi du Sapeur მორიგი ნომერი გამოვიდა. გამოცემა ოთხ წელიწადში ერთხელ, ნაკიანი წლის 29 თებერვალს ახარებს მკითხველს. გაზეთი პირველად 1980 წელს დაიბეჭდა, წელს კი მისი მე-12 ნომერი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი გაზეთია მსოფლიოში, რომელიც ასეთი ინტერვალით გამოიცემა და ის მეგობრების ჯგუფმა დააფუძნა. გამოცემის ტირაჟი 200 ათასი ეგზემპლარია, მისი ფასი კი 4.90 ევროა.

„გაზეთის პირველი ნომერი ორ დღეში სრულად გაიყიდა. შემდეგზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ, ახალი ნომერი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ დაგვებეჭდა“, – იხსენებს გამოცემის რედაქტორი. მას დღესაც რამდენიმე მეგობარი აკეთებს – ისინი ბარში იკრიბებიან და იდეებს იქ ამუშავებენ. გამოცემას არ აქვს ონლაინ-ვერსია, ის მხოლოდ ჯიხურებში იყიდება.

უხუცესმა ქალმა კიდევ ერთი იუბილე იზეიმა

დღეისთვის, მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანმა ქალბატონმა, ესპანელმა მარია მორერამ 117-ე დაბადების დღე იზეიმა. ის 1907 წელს, სან-ფრანცისკოში დაიბადა, თუმცა რვა წლის ასაკში, ოჯახი ევროპაში გადავიდა და კატალონიაში დასახლდა. ბოლო 23 წელია, ყველაზე ხანდაზმული ქალი მოხუცთა პანსიონში ცხოვრობს. მარია მორერას ჯანმრთელობის პრობლემები არ აქვს, გარდა სუსტი სმენისა და გადაადგილების სირთულისა. უხუცესი ქალბატონი მკვლევარებს დათანხმდა, სამეცნიერო ტესტირება გაიაროს, რომლითაც მისი დღეგრძელობის საიდუმლოს ამოხსნას შეეცდებიან.

ბავშვის სახელში ფულს იხდიან

იტალიაში, ქალაქ მატერას სამოქალაქო ასოციაცია მშობლებს ფულად ანაზღაურებას სთავაზობს, თუკი საკუთარ შვილს სახელს ქალაქის მფარველი წმინდანის, ეუსტაკიოს პატივსაცემად დაარქმევენ. ასოციაციის წევრების თქმით, ადრე იტალიელები ხშირად არქმევდნენ შვილებს სხვადასხვა წმინდანის სახელს, თუმცა დღეს ეს ტრადიცია წარსულში რჩება. ამ ნაბიჯით კი, ასოციაციას სურს, მომავალ თაობას წმინდანის სახელი შემოუნახონ. თანხის რაოდენობა, ჯერჯერობით, არ დაზუსტებულა.

სუნამო კარტოფილი-ფრის სურნელით

McDonald's-ის იაპონურმა განყოფილებამ არომატული სუნამოს გამოშვება დააანონსა, რომელსაც კარტოფილი-ფრის სურნელი ექნება. ამის თაობაზე ინფორმაცია სოციალურ ქსელში სწრაფი კვების რესტორნების პრეს-სამსახურმა გაავრცელა. რესტორატორების თქმით, პარფიუმის სამ ვარინტად გამოშვება იგეგმება: კლასიკური, ნივრითა და შავი პილპილით და ასევე ზღვის მარილით. „ფასტფუდის" მოყვარულებს ჰპირდებიან, რომ ყოველი არომატი იდეალური იქნება რომანტიკული პაემნებისთვის. სუნამოს ფლაკონები კარტოფილი-ფრის ლეგენდარული ყუთების მსგავსი იქნება. როდის დაიწყება ახალი პარფიუმის გაყიდვები და რა ეღირება, ჯერჯერობით, ეს ინფორმაცია უცნობია.

მოხატულ ნესვებს ჰყიდიან

საყოველთაოდ ცნობილია იაპონელების სათუთი დამოკიდებულება იდეალური ფორმის ხილ-ბოსტნეულის მიმართ. ვაშლი იქნება თუ ყურძნის მტევანი, თუ ის უხინჯო და იდეალური ფორმისაა, ამომავალი მზის ქვეყანაში უზარმაზარი ფული ღირს. თანამემამულეების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამ მხრივ, ახლა ფურანოს რეგიონის ფერმერებმა სცადეს – მათ უბრალოდ იდეალურად მრგვალი ფორმის ნესვი კი არ მოყავთ, არამედ, მოხატულიც. ბაღჩეულ კულტურაზე პოპულარული ფისო Hello Kitty-ია გამოსახული. მოსავლის აღებამდე ერთი თვით ადრე, როცა თითოეული ნაყოფის ქერქზე ხელით ამოჰყავთ ნახატი, ნესვის დამწიფების დროს, მასზე შესანიშნავი სურათი ჩნდება. გასაყიდად ფერმერები მხოლოდ იდეალურ ნესვს არჩევენ – მკვეთრი ნახატით, იდეალურად მრგვალსა და წონით, დაახლოებით, 1.8 კილოგრამს. ასეთი ნაყოფის ფასი 5 500 იენია (დაახლოებით, 52 დოლარი) და მისი შეძენა (სულ 300 ცალი) მხოლოდ წინასწარი შეკვეთითაა შესაძლებელი.

კბილები, რომლებიც ბაქტერიებს კლავენ

ჰოლანდიელმა სწავლულებმა, გრონინგენის უნივერსიტეტიდან, ანტიმიკრობული პლასტირი გამოიგონეს, რომლის დახმარებითაც შეიძლება ბაქტერიის მკვლელი კბილების დაბეჭდვა სამგანზომილებიან პრინტერზე. მკვლევარებმა ამონიუმის მიკრობებების საწინააღმდეგო მარილი შეიყვანეს უკვე არსებულ სტომატოლოგიურ პოლიმერებში. ასეთი მარილები დადებითად არიან დამუხტულნი და შლიან უარყოფითად დამუხტულ ბაქტერიულ მემბრანებს, როს შედეგადაც ეს მემბრანები სკდებიან და კვდებიან. ამავდროულად, ეს მასალა სავსებით უვნებელია ადამიანის უჯრედებისთვის – ამტკიცებენ მეცნიერები. მკვლევარებმა ახალი ნაერთი მოათავსეს სამგანზომილებიან პრინტერში, ულტრაიისფერი სხივების მეშვეობით, მას სიმკვრივე მიანიჭეს და მისგან კბილის პროთეზები და ორთოდონტული ბრეკეტები დაბეჭდეს. მათი მიკრობების საწინააღმდეგო უნარის შესამოწმებლად, მასალაზე ნერწყვისა და იმ ბაქტერიების ნარევი წაუსვეს, რაც კბილის დაჩირქებას იწვევს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალმა მასალამ ბაქტერიები 99%-ით გაანადგურა. სწავლულები ახლა აპირებენ, კლინიკური კვლევები ჩაატარონ და შემოწმონ, როგორ უთიერთქმედებას გამოიწვევს ის კბილის პასტასთან ერთად.

ჯულიეტას მკერდი გაუხვრიტეს

ტურისტებმა იტალიის ქალაქ ვერონაში კვლავ დააზიანეს ჯულიეტას ქანდაკება, – წერს ადგილობრივი გამოცემა Il Mattino di Padova. შექსპირის ჯულიეტას ბრინჯაოს ქანდაკება მყუდრო ეზოში, აივნის ქვეშ დგას, სადაც გადმოცემის მიხედვით, რომეო სიყვარულში გამოუტყდა გოგონას. ყოველღიურად, ათასობით ტურისტი მიდის ქანდაკებასთან, იღებს „სელფს“ და ტრადიციისამებრ, ნამდვილი სიყვარულის პოვნის იმედით, მის მკერდს ეხება. წლების განმავლობაში, ამგვარმა „მომლოცველობამ“ ანუ უამრავი ადამიანის ხელის შეხებამ, ჯულიეტას მკერდი გახვრიტა. 2014 წელს, ორიგინალი ქანდაკება, რომელიც ამ ეზოში თითქმის 40 წლის განმავლობაში იდგა, მისი 15-ათასევროიანი ასლით შეცვალეს. როგორც ჩანს, ახლო მომავალში, ვერონელებს ჯულიეტას ქანდაკების კიდევ ერთი ასლის შეკვეთა მოუწევთ.

გაზიანი სასმელი კიბოს წინააღმდეგ

ოქსფორდისა და ოლსტერის უნივერსიტეტების სპეციალისტები ახალ გაზიან სასმელზე მუშაობენ, რომელმაც სიმსივნური წარმონაქმნები სხივური და ქიმიოთერაპიის მიმართ უფრო მოწყვლადი უნდა გახადოს. საქმე ის არის, რომ ზოგიერი სიმსივნე ადაპტირებას ახდენს ნაკლებჟანგბადიან გარემოში. ეს კი მათ პრეპარატების მიმართ უფრო მდგრადს ხდის. სასმელი, რომელზეც ბრიტანელი სწავლულები მუშაობენ, ბუშტუკებით იქნება გაჯერებული და მათ სიმსინე უნდა „გამოკვებონ“ ჟანგბადით. ეს კი გზას გაუხსნის წამლებსა და სხივურ თერაპიას. აღსანიშნავია, რომ სასმელი უკვე წარმატებით გამოსცადეს ლაბორატორიულ თაგვებზე. მკვლევარები აცხადებენ, რომ სასმელი უპირველესად კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მკურნალობისთვის იქნება განკუთვნილი.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობები

„ფორბსმა“ 2023 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების რეიტინგი შეადგინა. პირველ ათეულში შესულთა საერთო თანხამ 449 მილიონი დოლარი შეადგინა. მათგან დიდი წილი კინოპროექტებიდან მიღებული თანხებია. სიის სათავეში წელს ადამ სენდლერი მოექცა, რომელმაც 2023 წელს, 73 მილიონი დოლარი გამოიმუშავა Netflix-თან დადებული კონტრაქტებით. ის კომპანიასთან უკვე ათი წელია თანამშრომლობს, მისი ფილმები სტაბილურად ხვდება ყველაზე ყურებად სურათებს შორის. რეიტინგის მეორე ადგილზე მარგო რობია – „ბარბიმ“ მას 59 მილიონი დოლარი მოუტანა. 33 წლის მსახიობი სიის ყველაზე ახალგაზრდა წევრია, მისი კოლეგების საშუალო ასაკი 52 წელს აღწევს. მესამე ადგილზეა ტომ კრუზი – „მისია შეუსრულებელიას“ სეზონების წყალობით. გასულ წელს, მან 45 მილიონი გამოიმუშავა. ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების ათეულში მოხვდნენ, ასევე, რაიან გოსლინგი (43 მილიონი), მეტ დეიმონი (43 მილიონი), ჯენიფერ ენისტონი (42 მილიონი), ლეონარდო დი კაპრიო (41 მილიონი), ჯეისონ სტეტჰემი (41 მილიონი), ბენ აფლეკი (38 მილიონი) და დენზელ ვაშინგტონი (24 მილიონი).

ხანმოკლე ვარჯიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს

დღეში 15-წუთიანმა ვარჯიშმა, შესაძლოა, ადამიანი ნაადრევ სიკვდილს გადაადრჩინოს, – ნათქვამია სენტ-ეტიენის უნივერსიტეტის სწავლულების დასკვნაში. მათი შეფასებით, რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს შეუძლია დაავადებების უმეტესობის რისკი 22%-ით შეამციროს. კვლევები, რომლებსაც ფრანგი მეცნიერები აწარმოებდნენ, 2011 წლიდან მიმდინარეობდა და მასში ათასზე მეტმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. რაც უფრო მეტს ვარჯიშობდნენ ისინი, მით ნაკლები იყო გულის დაავადებებითა და სიმსივნით გარდაცვალების რისკი. სწავლულები მოუწოდებენ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ვარჯიშობენ, ცხოვრების სტილი შეცვალონ, მხოლოდ არა სწრაფად – მათი თქმით, დღეში 15-წუთიანი ვარჯიში საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

ლუდი ალცჰაიმერის წამალი აღმოჩნდა

შვედი და ფინელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქარვისფერი სასმელი ალცჰეიმერის დაავადების განვითარებას აღკვეთს – ეს ალკოჰოლური სასმელი აფერხებს ამილოიდური თრომბების თავმოყრას. თუმცა, ჯერჯჯერობით, არ დაუდგენიათ არც ამგვარი ზემოქმედების მექანიზმი და არც სასმელის კონკრეტული დოზა. მკვლევარებმა გააანალიზეს კავშირი სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების მოხმარებასა და ბეტა-ამილოიდების თავმოყრას შორის თავის ტვინში. მათ ფინეთში 35-დან 70 წლამდე ასაკის 125 მამაკაცი გამოიკვლიეს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გარდაიცვალნენ. გაირკვა, რომ ასაკთან ერთად, ამილოიდების კონცენტრაცია ყველასთან იზრდებოდა, თუმცა ლუდის მოხმარებამ ის საკმაოდ შეამცირა. არც სასმელის მოცულობას, არც ღვინის მოხმარებისადმი მიდრეკილებას და არც სხვა სასმელს მათზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

მიკროტალღური მაცივარი შექმნეს



გერმანელმა სწავლულებმა სწრაფი გაციების ახალი მეთოდი მოიფიქრეს – მათ მიკროტალღური მაცივარი შექმნეს. ჯერჯერობით, ის მხოლოდ მოლეკულებს აციებს. აპარატი მცირე ზომის მეტალის ყუთს წარმოადგენს, რომლის შუაშიც ვენტილატორის ძრავის მსგავსი მოწყობილობა დგას. ეს ძრავა ქმნის მიკროტალღურ ველს. ექსპერიმენტებისას, ამ მაცივარმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა. სულ რაღაც წამის მესამედში, მის შიგნით ტემპერატურა -273.15 გრადუსი იყო. ცდებისას, სწავლულები ნატრიუმისა და კალიუმისგან შემდგარ გაზს აციებდნენ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს გამოგონება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში გამოუსადეგარი იქნება. თუმცა, ასეთი საყინულე მეცნიერებს საშუალებას მისცემს, მატერიის ახალი სახეობები შექმნან.

საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა

კანადელმა მამაკაცმა, ქალაქ ექსტრერიდან, საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა და მოკვდა. ამ უჩვეულო ისტორიას პორტალი The London Free Press აქვეყნებს. ექიმებმა 67 წლის რონ რეიდერს კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაციის გაკეთება უკვე დაგვიანებული იყო და მას პალიატიური მკურნალობა დაუნიშნეს. მომაკვდავმა კანადელმა შვილებს განუცხადა, რომ სურდა, საკუთარი დაკრძალვის ცერემონიას დასწრებოდა. „თუკი სიკვდილი გარდაუვალია და ხალხი მოვა, მინდა, მეც იქ ვიყო“, – განაცხადა რონმა. მან დამკრძალავი ბიუროს დირექტორს დაურეკა და სთხოვა საკუთარი გასვენების ორგანიზება, რომელსაც თავადაც, ჯერ კიდევ ცოცხალი დაესწრებოდა. 140-წლიანი მუშაობის განმავლობაში, ეს პირველი მსგავსი შეკვეთაა, – აღნიშნა ბიუროს დირექტორმა. წინასწარ მოწყობილ დაკრძალვას, „მიცვალებულის“ გარდა, კიდევ 350 ადამიანი ესწრებოდა – რონის მეგობრები, ახლობლები, უბრალოდ ნაცნობები და ჰოკეის იმ გუნდის წევრებიც კი, სადაც კანადელი დიდი ხნის წინ თამაშობდა. „ეს დაუვიწყარი, საუკეთესო დღე იყო“, – განაცხადა რონის მეუღლემ. „გასვენებიდან“ ცხრა დღის შემდეგ, რონ რეიდერი ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა.

მარტივი ტესტი მკერდის კიბოს დასადგენად

სწავლულებმა სუნთქვის ტესტის აპარატი გამოიგონეს, რომელსაც მკერდის კიბოს დადგენა ათ წუთში შეუძლია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ტესტირება დღეს არსებული, საკმაოდ არაკომფორტული მამოგრაფიის ალტერნატივაა. ხელსაწყო, რომელსაც The Breath Link უწოდეს, ამერიკულ კომპანიაში შექმნეს და ის ევროპაში უკვე გაყიდვაშია. მისი გამოყენება ძალიან მარტივია – პაციენტი აპარატში ჩაისუნთქავს, ხელსაწყო ჰაერით ივსება, რომელიც ქიმიკალების დონეს აანალიზებს. თუ ქიმიკალი მკერდის კიბოს არსებობას აჩვენებს, კომპიუტერი ექიმს შედეგს აცნობებს. როგორც ხელსაწყოს ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება ისეთივე სიზუსტით მუშაობს, როგორც მამოგრაფიის მოწყობილობა. მკვლევართა განცხადებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაინერგება, ან ვიდრე მკერდის კიბოს სკრინინგისთვის ერთადერთ ალტერნატივად გამოცხადდება, საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი გამოკვლევის ჩატარება და მუშაობა. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე, დაავადების აღმოჩენის სიზუსტე დაბალია.

„ომეგა-3“ ბავშვის ინტელექტს არ აუმჯობესებს

მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები ფეხმძიმეებს ურჩევენ, მიიღონ „ომეგა-3“– ცხიმმჟავები ნაყოფის ტვინის განვითარების გასაუმჯობესებლად, ბოლო გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ასეთი დანამატები სულაც არ აუმჯობესებენ ბავშვების კოგნიტიურ, ლოგიკურ უნარებს. გამოკვლევის შედეგები ერთ-ერთი გამოცემის სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნდა, რომელიც პატარების ჯანმრთელობას მიეძღვნა. ავსტრალიელმა სწავლულებმა ხანგრძლივი დაკვირვება ჩაატარეს, რომელიც დროსაც ფეხმძიმეები ყოველდღიურად, 800 მგ პლაცებოს ან „ომეგა-3“-ს იღებდნენ. პირველადი კვლევებისას აღმოჩნდა, რომ 18 თვემდე ბავშვების კოგნიტიური, ენობრივი და მოტორიკის უნარების საერთოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შემდეგი კვლევისთვის ოთხი წლის ასაკის პატარები აირჩიეს, როცა განვითარების ნაკლებშესამჩნევი ეფექტებიც ვლინდება. აღმოჩნდა, რომ კოგნიტიური უნარების, ინფორმაციის რთული ფსიქოლოგიური დამუშავების უნარის, ენობრივი, მეხსიერების, ლოგიკის უნარების შემოწმებისას, არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა პლაცებოსა და „ომეგა-3“-ის მიმღებ ჯგუფებს შორის. ამგვარად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ომეგა-3“-ის დანამატების მიღება არ ახდენს გავლენას ბავშვის გონებრივ განვითარებაზე.

სწარაფად დაბერების მიზეზს მიაგნეს

ადამიანის დაბერების პროცესს სერიოზულად აჩქარებს მავნე ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში გარემოდან ხვდებიან, – ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. კაროლინის უნივერსიტეტის ონკოლოგიური ცენტრის სპეციალისტებმა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკვლევევის შედეგად დაადგინეს, რომ გენები მხოლოდ 30%-ით ახდენენ გავლენას იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ადამიანი, ხოლო გარე-ფაქტორები კი ორგანიზმზე გაცილებით სერიოზულად ზემოქმედებს. მათი როლი ექსპერტებმა 70%-ით შეაფასეს. დაბერების პროცესის სიწრაფის განსაზღვრის მეთოდიკა მკვლევარებმა მღრღნელებზე გამოსცადეს. ასევე, ექსპერიმენტისას გამოავლინეს ის გენებიც, რომლებიც შედარებით მეტად უწყობენ ხელს დაბერებას. მიღებული მონაცემების მიხედვით, ყველაზე საშიში ტოქსინი – სიგარეტის კვამლია. მეორე და მესამე ხარისხის ზიანს ახალგაზრდობას ულტრაიისფერი გამოსხივება და ქიმიოთერაპია აყენებს. თანაც, ეს უკანასკნელი პროცედურა სიბერეს 15 წლით გვიახლოვებს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ძირითადად ეს ფაქტორები იწვევენ ჯანმრთელი უჯრედების დაზიანებას, რომლებიც ნეგატიური ზემოქმედების გამო, გაყოფის უნარს კარგავენ. ეს დაზიანებული უჯრედები, დროთა განმავლობაში, გროვდებიან ორგანიზმში და სხვადასხვა სახის ანთებით პროცესებს იწვევენ, შედეგად კი ათასგვარი ასაკობრივი დაავადებაც ჩნდება.

მხედველობას ღორის კანის მეშვეობით აღადგენენ



შვედმა სწავლულებმა, ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან, თვალის რქოვანას იმპლანტი ღორის კანისგან შექმნეს. ადამიანისა და ცხოველის კანში რქოვანას ანალოგიური მოლეკულებია. ამიტომ, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ რქოვანას ქსოვილის ხელოვნური შემცვლელი, ღორის კანიდან. ამისთვის მათ ტყავის ნაჭრები იაფი, ნარჩენი პროდუქტისგან აიღეს. სპეციალისტებმა კოლაგენის თავისუფალი მოლეკულების სტაბილიზაც მოახდინეს, რის შედეგადაც მყარი და გამჭვირვალე მასალა მიიღეს, რომელმაც შეიძლება გაუძლოს თვალში იმპლანტაციას. დონორის რქოვანასგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ორი კვირა ინახება, ბიოინჟინერული რქოვანას გამოყენების ვადა ორი წელია. ახალი მეთოდის ტესტირებაში 20 პაციენტი მონაწილეობდა – ირანიდან და ინდოეთიდან. რვაკვირიანი მკურნალობის შედეგად, თავიდან აიცილეს იმპლანტის მოშორება. ოპერაციიდან ორი წლის შემდეგაც, გართულებები არც ერთ პაციენტში არ გამოვლენილა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.